140
1981

ISSN 0132—5978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმღაზი

5
1981

ᲐᲦᲚᲣᲛᲘ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ "ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲥ. ᲐᲚᲙᲐ ᲪᲐ-ᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ⲙ. ᲬᲘᲪᲚᲐᲣᲠᲘ, ᲡᲐᲥ. ᲐᲚᲙᲐ ᲪᲐ-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ⲓ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ Ⲅ. ᲪᲣᲒᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ XII ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ძვირფასო მეგობრებო, ნორჩო ლენინელებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს პიონერული ორგანიზაციის XII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს, რესპუბლიკის პიონერიის 400-ათასიანი რაზმის წარმომადგენლებს, და გისურვებთ შეკრების წარმატებით მუშაობას.

თქვენ ღირსსახსოვარ დღეებში ატარებთ თქვენს შეკრებას: სულ ახლახან დაამთავრა მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ. დღეს ჩვენ ყველანი, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღმავლობით შევუდექით დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებას, რომლებიც დაგვისახა სკკპ XXVI ყრილობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

ჩვენი რესპუბლიკისათვის მიმდინარე 1981 წელი საიუბილეოა: შესრულდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წელი. ამ დიდებულ თარიღს საქართველო ხვდება შესანიშნავი წარმატებებით სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებასა და კულტურულ ცხოვრებაში. ეს წარმატებები საიმედო საძირკველია შემდგომი წინსვლისათვის, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

თქვენ, ნორჩმა ლენინელებმა, უფროს თაობათა მემკვიდრეებმა, უახლოეს მომავალში უნდა მიიღოთ მათი შრომითი საქმეების ესტაფეტა. იმისათვის, რომ იყოთ ამ საპატიო უფლების ღირსნი, მზად იყოთ იმ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრისათვის, რომელთა გადაწყვეტაც თქვენ მოგიხდებათ, ძალზე ბევრი უნდა იცოდეთ, ბევრი უნდა შეგეძლოთ, საკუთარ თავში უნდა აღზარდოთ ისეთი აუცილებელი თვისებები, როგორიც არის შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა.

გახსოვდეთ: თქვენ არა მარტო კარგ სპეციალისტებად უნდა გაიზარდოთ, არამედ აქტიური პოლიტიკური მებრძოლებიც უნდა გახდეთ. აქტიურ პოლიტიკურ მებრძოლად გახდომა კი იმას ნიშნავს, რომ სისტემატურად გაიღრმავო შენი პოლიტიკური ცოდნა, ეუფლებოდე მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, შეგეძლოს ორიენტირება რთულ საერთაშორისო ვითარებაში.

საბჭოთა სამშობლო რომ გიყვარდეს, ზრუნავდე მისი ძლიერებისა და აყვავებისათვის არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, აუცილებელია მთელი შენი ნიჭისა და შესაძლებლობების მთლიანად მობილიზება.

იყოთ ღირსეული მემკვიდრენი და გამგრძელებელნი დიდი ბელადის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საქმისა, ვის სახელსაც ატარებს ჩვენი პიონერული ორგანიზაცია — დიდი პატივია. მაშ იყავით ამ დიდი პატივის ღირსნი.

დაე, დიდი ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრება და ბრძოლა იყოს თქვენთვის მარად მისაბაძი მაგალითი თქვენს მომავალ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

სწავლის, დასვენების, შრომით ოპერაციებში მონაწილეობისას თქვენ განუწყვეტლივ გრძნობთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ მშობლიურ ზრუნვას თქვენდამი, საბჭოთა მოქალაქეების მოზარდი თაობისადმი. თქვენ ხართ ბედნიერი მოწმეები იმისა, რომ თქვენს თვალწინ აღმოცენდება ახალი, კეთილმოწყობილი სკოლები, პიონერთა სახლები და სასახლეები, საბავშვო თეატრები, სპორტული კომპლექსები, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურები. თქვენ მშვიდად, გულდაჯერებული ცხოვრობთ მშვიდობიანი ცის ქვეშ.

მაშ, იყავით მზად, გახდეთ იმათი საიმედო ცვლა, ვინც დღეს დაუღალავად იცავს თქვენს სიმშვიდეს, თქვენს სიცოცხლეს.

იცხოვრეთ, ისწავლეთ და იშრომეთ ისე, როგორც გიანდერძათ ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა, როგორც ამას გასწავლით კომუნისტური პარტია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავი

ვიქტორია სირაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

წინსვლის წლები

„მარადიული თოვლით გადათეთრებულ კავკასიონის მთებსაც კი არ უნახავს სოციალური შემოქმედების ასეთი მასობრივი აღმაფრენა, ხალხის სულის სიღრმიდან წამოსული ასეთი ლტოლვა სინათლისაკენ, თავისუფლებისა და პროგრესისაკენ," — ასე დაახასიათა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საბჭოთა საქართველოში მომხდარი სოციალური ძვრები.

სამოცი წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილი დროშა აფრიალდა. ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, ერა წინსვლის, აღმავლობის და გამარჯვებისა.

„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!" —სერგო ორჯონიკიძის მიერ 1921 წლის 15 თებერვალს მოსკოვში ლენინის სახელზე გაგზავნილი ცნობილი დეპეშა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა.

ასევე ისტორიის კუთვნილებაა 1921 წლის 2 მარტს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ სერგო ორჯონიკიძისადმი გამოგზავნილი დეპეშა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი".

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებითა და დახმარებით საქართველოს კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის შემოქმედებით შრომას, მრავალტანჯული საქართველოს აღორძინებასა და აყვავებას.

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. აქ იშვა ამირანი, ხალხისათვის ცეცხლი რომ მოსტაცა ღმერთებს და ამის გამო კავკასიონის ქედს რომ მიაჯაჭვეს. აქ ეძებდნენ არგონავტები ოქროს საწმისს, საქართველოს სიმდიდრეებისკენ ჰქონდათ მოპყრობილი ხარბი თვალი ძველ რომაელებს თუ ბიზანტიელებს, სპარსელებს თუ არაბებს, მონღოლებს თუ ოსმალებს; ბევრჯერ დაარბია მრავალრიცხოვანმა ურჯულომ ჩვენი ლამაზი ქვეყანა, სურდა პირისაგან მიწისა აღეგავა იგი, მაგრამ მუდამ ფენიქსივით დგებოდა ფერფლიდან ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო. დღენიადაგ მტრის შემოსევას რომ ელოდა, იმიტომაც არის საქართველოს სიმბოლო დღეს ქალი-დედა, რომელსაც ცალ ხელში ხმალი, ხოლო მეორეში — ღვინით სავსე ფიალა უჭირავს.

მძიმე გაჭირვების ჟამს, როცა ქართველი ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მას ძმური ხელი გაუწოდა და მხარში ამოუდგა ერთმორწმუნე დიდი რუსეთი. მას მერე ორასი წელი გავიდა. ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ფურცლები ჩაწერა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიაში. საბჭოეთის ძმურ ოჯახში, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, კიდევ უფრო დამშვენდა და აშენდა საქართველოც. გაჩნდა ახალი ქალაქები და რაიონები, სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით დაისერა მისი მთა-ბარი. აშენდა 2 ათასზე მეტი ბავშვთა ბაგა-ბაღი, 4 ათას 200 სკოლა, სადაც მილიონამდე ბავშვი სწავლობს. 146 პროფტექნიკურ სასწავლებელსა და 95 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში 200 ათასზე მეტი მოსწავლეა, რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში 90 ათასამდე სტუდენტი ირიცხება, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებებში 24 ათასი მეცნიერმუშაკი მოღვაწეობს. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 600 ათასზე მეტმა სპეციალისტმა მიიღო უმაღლესი კვალიფიკაცია. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა ეროვნების ათას ხუთასამდე მეცნიერების დოქტორი და 8 ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატია.

საქართველოს ელკა ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჯიბეჯრი

5 მაისი 1981

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

16822

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავი

მოკლე ისტორიულ პერიოდში, სულ 60 წლის მანძილზე, ნახევრადფეოდალური საქართველო მოწინავე ეკონომიკის, კულტურისა და განათლების ქვეყანა გახდა. სორბონის უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა, პროფესორმა მარსელ პრენანმა საქართველოში ყოფნისას აღნიშნა: „ოთხმილიონიან საქართველოში იმდენივე მეცნიერია, რამდენიც ორმოცმილიონიან საფრანგეთშიო“.

დღევანდელი საქართველო ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო ქვეყანაა. მანგანუმისა და ქვანახშირის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, ელექტროტექნიკისა და ქიმიის, კვებისა და მსუბუქი, სამშენებლო მასალათა და სხვა 1200 მსხვილ სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში გადის. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა ორ დღეში იმაზე მეტ პროდუქციას უშვებს, რასაც რევოლუციამდელი საქართველო 1920 წელს უშვებდა მთელი წლის განმავლობაში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თავის ინტერვიუში ცნობილმა მეჩაიემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ გაიხსენა: „ერთხელ, რევოლუციამდე, ერთმა ჩამოსულმა ფრანგმა მებაღემ ჩვენი კოლხური მიწა პეშვით აიღო და თქვა: „ო, რა კამელიები გაიზრდებოდა ამ მიწაზეო. დასანანია, რომ ასეთი სიმდიდრე იმათ ხელშია, ვისაც მისი გამოყენება არ შეუძლიაო!“ მეხშირად მახსენდება ეს სიტყვები და როდესაც ვუყურებ „მწვანე ოქროთი“ გადაბიბინებულ პლანტაციებს, ჩემდა უნებურად ის ფრანგი მებაღე მახსენდება, რომელსაც, რომ ენახა კიდეც, ალბათ მაინც არ დაიჯერებდა იმ ზღაპრულ ძვრებს, რაც საბჭოთა პერიოდში განიცადა მრავალსაუკუნოვანმა კოლხურმა მიწამ“.

ამ მიწის ბარაქა იყო ჩაის რეკორდული მოსავალი. ჩვენი მეჩაიეების მკლავმოუღლელი შრომის დამსახურება იყო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მილოცვაც ბრწყინვალე გამარჯვებასთან დაკავშირებით.

მეჩაიეებს არც მევენახეები ჩამორჩნენ.

ქართველი მეზვრე ყველაზე უხნესია დედამიწაზე. ვაზი იყო ქართველი კაცის ძალა და სიმდიდრე. სწორედ ამიტომ წვავდა, თელავდა, ჩეხავდა მტერი ვაზს. მესხეთ-ჯავახეთში დღესაც შემორჩენილია ტერასები, რომლებზეც ვაზი იყო გაშენებული; დღეს სწორედ ამ ტერასების აღდგენაზეა ლაპარაკი. უხსოვარი დროიდან ატარებს კახელი გლეხი შავი ნაბდის ქუდს: ჩვენს მამა-პაპათ სამუშაოზე, ბარისა და თოხის გარდა, საბრძოლო იარაღიც მიჰქონდათ; შავი ნაბდის ქუდი მუზარადის ქვეშ დასახურად სჭირდებოდათ მათ.

ზედიზედ მერვედ მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებები X ხუთწლედში მთავრობის მრავალი მაღალი ჯილდოთი აღინიშნა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ქართველ კომუნისტთა ნაცად ხელმძღვანელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს.

საბჭოთა აღმშენებლობის წლებში ჩვენი რესპუბლიკა დაჯილდოვდა ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით. 700 ათასზე მეტმა მშრომელმა დაიმშვენა მკერდი სამშობლოს ორდენებითა და მედლებით, მათგან სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ათას ხუთასამდე მოწინავე სოციალისტური შრომის გმირის სახელოვან წოდებას ატარებს.

„გზა, რომლითაც მიდიოდა და დღესაც მიდის საქართველო, ეს ჩვენი, ხალხთა დიადი მეგობრობის

თბილისი. ტელეგრაფის სახლი

გზაა“, — აღნიშნა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დღეს საბჭოთა საქართველოში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ და შრომობენ 100-ზე მეტ თანასწორუფლებიან ეროვნებათა წარმომადგენლები.

საქართველოში და მის შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას მოსახლეობა 2 მილიონ 411 ათას კაცს შეადგენდა; ამჟამად ამ ციფრმა 5 მილიონს გადააჭარბა. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა ეროვნების ბავშვს უფლება და შესაძლებლობა აქვს მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე. სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და

თბილისი. სახელმწიფო ფილარმონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის XI ხუთწლიანი

მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდება 80-88 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 1,6-ჯერ, მანქანათმშენებლობის პროდუქცია — 1,6-ჯერ, ქიმიური მრეწველობისა — 1,5-ჯერ, მსუბუქი და კვების მრეწველობისა — 1,8-ჯერ, მათ შორის ხილგოსტნეულის კონსერვებისა — 1,7-ჯერ. გათვალისწინებული იქნება ელექტრონიკური, რადიოტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის უპირატესი ზრდა.

დამთავრდება ენგურის ჰიდროკვანძის აგება, გაგრძელდება ხუდონჰესის მშენებლობა, დაიწყება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის აგება.

ამოქმედდება ჩაის ფოთლის, ყურძნის გადასამუშავებელი და მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ახალი სიმძლავრენი.

ქურთულ ენებზე. ეს დიდი ინტერნაციონალური მონაპოვარია.

სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში საბჭოეთის ძმური ოჯახის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების შრომითი და საბრძოლო გმირობა. იმათი გმირობა, ვინც მთელი თავისი ძალა და ენერგია მოახმარა სოციალიზმისა და ხალხთა ძმობის გამარჯვების საქმეს. საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსათვის თავდადების მკაფიო მაგალითია დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები. საბჭოთა საქართველომ სამშობლოს დასაცავად 700 ათასზე მეტი თავისი ვაჟიშვილი და ქალიშვილი გაგზავნა. ამათგან სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თითქმის ნახევარმა შესწირა თავი, ცოცხლად დარჩენილთაგან კი თითქმის არც ერთი არ დაბრუნებულა საბრძოლო ორდენის ან მედლის გარეშე, ხოლო 138 მეომარი გმირის ვარსკვლავით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა სამშობლოს.

ომისშემდგომ პერიოდში კიდევ უფრო დიდი გაქანება მიიღო საქართველოს ეკონომიკურმა და კულტურულმა მშენებლობამ, იმატა სკოლათა, სკოლამდელ დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამკურნალო დაწესებულებათა, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვმა. დღეს ჩვენი ახალგაზრდობა იზრდება იმ დიდ მეცნიერთა ტრადიციებზე, რომელთაც დიდი ხანია თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ისტორიაში; ნ. მუსხელიშვილის, დ. უზნაძის, ი. ბერიტაშვილის, ი. ვეკუას, გ. წერეთლისა და მათი მოწაფეების ნაშრომებმა ლენინური, სახელმწიფო და სხვა საკავშირო, აგრეთვე საერთაშორისო პრემიები დაიმსახურეს მათემატიკის, ფიზიკის, ტექნიკის, მედიცინის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგში.

დღეს, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, ფართოდ გაიშალა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, გაიფურჩქნა მისი ნიჭი და ტალანტი.

ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საუკეთესო ნაწარმოებები ხალხის, კომუნისტური მშენებლობის საქმისადმი სამსახურის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენენ. სწორედ ამითაა პირველ რიგში განსაზღვრული მათი პოზიციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამით აიხსნება ის აღიარება და სიყვარული, რომლითაც ისინი არიან გარემოსილნი ხალხში, ის მაღალი ავტორიტეტი, რომელიც მათ დაიმსახურეს საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, ეკონომიკისა და ჩვენი სულიერი ცხოვრების ყველა დარგის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი ამაღლების გრანდიოზული პროგრამა დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ და საქართველოს კომუნისტთა ამა წლის იანვარში ჩატარებულმა ფორუმმა. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის შემდგომ სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს.

საქართველოს პიონერიამ, ყველა მოზარდმა ნათლად უნდა გაიაზრონ რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანები, მხარში ამოუდგნენ უფროსებს და შეძლებისდაგვარად იბრძოლონ ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კურორტი გიჟვინთა

ერთ ერთ ჯერ

● ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა ცარიელი ფრაზა ან ლოზუნგი კი არ არის, არამედ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, ჩვენი სოციალისტური სინამდვილეა.

უველაფერი ის, რითაც დღეს თავი მოგვაქვს, რითაც ვამაყობთ, არ გვექნებოდა, რომ არ ყოფილიყო ძმური ერთობა სხვადასხვა ერის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ.

ახალგაზრდებს მართებთ დაიცვან ხალხთა მეგობრობის დიადი ტრადიციები, მაგრამ ეს რომ შეძლონ, ჯერ უნდა მოემზადონ საამისოდ — ოჯახში, სკოლაში. მათ უნდა ისწავლონ სხვა ერის შვილის გულისნადების გაგება და მასთან თანადგომა. მაგრამ უპირველესად უნდა გიყვარდეს შენი მიწა, ენა, კულტურა, ვინაიდან იგი, ვისაც არ უყვარს თავისი, სხვისას ვერ შეიყვარებს.

ბაგრატ შინკუბა,
აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტი.

● სოხუმის ხედი

უაღრესი მეგობრობა

● აფხაზეთში სხვადასხვა ხალხის შვილები ცხოვრობენ — აფხაზები, ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ისინი ცხოვრობენ ერთ ოჯახად, სწავლობენ ერთად, ერთად იზრდებიან, ერთად გადიან ცხოვრების ასპარეზზე. მათი მეგობრობა უანგაროა, როგორც დედის გული და ფიქრი, წმინდაა, როგორც მთის ჰაერი განთიადისას, სავსეა ბავშვური გულწრფელობითა და უშუალობით.

მეგობრობა აწრთობს და აყალიბებს ადამიანის ხასიათს.

პიონერებმა უნდა იცოდნენ, რომ თითოეულ ჩვენგანს მეგობრობა სჭირდება ისევე, როგორც წყალი და პური, როგორც მზე და ჰაერი. წინ დიდი გზაა, მაღალი მწვერვალებია და მათ მხოლოდ ისინი დაიპყრობენ, ვინც ხალხთა ძმობის მაღალი იდეალებით არიან ნაწრთობნი და გაკაუებულნი.

მარად გახსოვდეთ ეს, ჩემო პატარა მეგობრებო!

ივანე თარგა,

მწერალი, დიმიტრი გულიას სახელობის პრემიის ლაურეატი.

რიწის ტბა

ჭოიწმინდა

ბორის გურგულია



ჰოი, მთაწმინდავ!
ნეტავ გრძნობდე, რა მძლავრად
გეტრფი! —
გადავიტანე
შენი ყველა საფლავი გულში,
ვაქციე ლექსად,
ავამღერე სიმღერა ერთი,
შენმა მიწამ რომ
შთამაგონა, დიდო მთავ, გუშინ!
როდესაც კრძალვით
ფეხს დავადგამ მე მიწას შენსას,
სუნთქვას ქართული
ცამარადის სილურჯეს ვანდობ!
ზღვასიყვარული
მოასკდება გულის კარს ლექსად
და სიმღერის მზეს
შემოხვდება საგანთიადოდ!
შენს სადღეგრძელოს
მე ვღაღადებ, შენითვე მთვრალი,
შენი სიმაღლის
და დიდების მარადი ტყვე ვარ!
შენი მიწის და
შენი ზეცის მაქვს დიდი ვალი
და მიცემს გული —
ანთებული შენად კურთხევად!

თარგმნა ზაურ ბოლქვაძემ

ჩვენი რესპუბლიკის XI ხუთწლედი

განხორციელდება სამუშაოები კოლხეთის დაბლობის დასაშრობად და ასათვისებლად 35 ათას ჰექტარ ფართობზე, მიწების სარწყავად — 60 ათას ჰექტარ ფართობზე.

მოეწყობა ნაპირსამაგრი სამუშაოები შავი ზღვის სანაპიროზე. დამთავრდება კავკასიის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობა. გაგრძელდება მარაგდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის გაყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხნედ მიაბიჯებს საქართველოს პიონერია — კომკავშირელთა და კომუნისტთა ხვალინდელი ცვლა.

ფოტო ჯ. ლომაძისა

საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა

წ ე რ ი ლ ი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, დიდ პიონერულ მადლობას გიძღვნით თქვენი დაუღალავი შრომისათვის, მამაცური ბრძოლისათვის მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, თქვენი ჩვენდამი — ნორჩი ლენინელებისადმი ყურადღებისა და მამობრივი ზრუნვისათვის, იმისათვის, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენს დიად ქვეყანაში ყოველი წელიწადი „ბავშვის წლად“ იქცა.

80-იანი წლების პიონერებისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, დიდი მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა. ამ ფორუმს მიეძღვნა საქართველოს პიონერთა XII შეკრება. შეკრებაზე შევაჯამეთ პიონერთა რაზმების საკავშირო მარშზე მიღწეული წარმატებები 5 წლის მანძილზე, განვსაზღვრეთ ჩვენი პიონერული წვლილი მე-11 ხუთწლედის გეგმების განხორციელებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე ნორჩი ლენინელები კომკავშირის წინამძღოლობით პიონერული თავდადებით, თემურული გაბედულებითა და შეუპოვრობით მიჰყვებოდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ გზას.

ტრადიცია ახლაც გრძელდება. ამის დასტურია ჩვენი ხუთიანები, შრომითი წარმატებები, მშვიდობისა და მეგობრობის პიონერული ხიდები, შინმოუსვლელთა ხსოვნის საგუშაგოები, მიღწევები თვითმოქმედებასა და სპორტში.

„კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს!“ — ასეთია ჩვენი შეკრების დევიზი. ეს ნორჩ ლენინელთა ცხოვრების კანონია.

ჩვენ კომუნისტებისაგან ვსწავლობთ ლენინის ანდერძისადმი, ოქტომბრის წითელი დროშისადმი ერთგულებას, ხალხთა შორის მეგობრობას, შრომისმოყვარეობას, შეუპოვრობას, ვაჟკაცობას.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! გჯეროდეთ, ჩვენ, საბჭოთა საქართველოს 80-იანი წლების პიონერები — XXI საუკუნის მომავალი მოქალაქენი ღირსეულად განვაგრძობთ საბჭოთა პიონერიის ტრადიციებს, კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით დავამტკიცებთ ლენინის ანდერძისადმი ერთგულებას, კვლავაც გავუფრთხილდებით წითელ ყელსახვევს — დიდი დროშის ნაწილსა და თაობათა ურღვევი კავშირის სიმბოლოს.

გპირდებით: ვიცხოვრებთ, ვისწავლით, ვიშრომებთ, ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ ლენინურად, კომუნისტურად!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! დიდება საბჭოთა ხალხს!

ლენინის პარტიას დიდება!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მუდამ მზად ვართ!

საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილენი.

ქ. სოხუმი, 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კუთხის პიონერთა რაზმეულების წარგზავნილებმა ქალაქ სოხუმში, პიონერთა XII რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომლის დევიზია: „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“, შევაჯამეთ ხუთი წლის მანძილზე პიონერთა რაზმების საკავშირო მარშზე მიღწეული წარმატებები, განვსაზღვრეთ ჩვენი პიონერული წვლილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობების მიზანდასახულობათა განხორციელებაში.

„ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“ ჩვენზე მზრუნველობით გამთბარი ეს სიტყვები, ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან რომ წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, ყველა პიონერს გვავალებს, მშობლიური პარტიის ზრუნვას ვუპასუხოთ ფრიადზე სწავლით, თავდადებული შრომით, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით.

ყრილობის დღეებმა დიდი სიხარული მოუტანა ჩვენს რესპუბლიკას. ჩვენ, პიონერებმა კიდევ ერთხელ კარგად შევიგრძენით საბჭოთა მთავრობის, მშობლიური კომუნისტური პარტიის, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უდიდესი ზრუნვა და ყურადღება ჩვენს რესპუბლიკაზე, როცა მან დიდად შეაფასა საბჭოთა საქართველოს მიღწევები მე-10 ხუთწლედში და ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს სოციალისტური შრომის გმირის ნიშანი და ლენინის ორდენი გადასცა.

ეს ჯილდო მთელი რესპუბლიკის ჯილდოა! იგი გვავალებს ახალი, სასახელო პიონერული საქმეებით დავამშვენოთ მეთერთმეტე ხუთწლედი, მხარი ვუსწოროთ საქართველოს კომუნისტებს!

პიონერო! რგოლო! რაზმო! რაზმეულო!

გვახსოვდეს:

— ჩვენი მთავარი შრომა სწავლაა!

— ჩვენი ვალია თითოეული რგოლის, რაზმის ცხოვრება გავხადოთ საინტერესო, თითოეული პიონერი — აქტიური; ვებრძოლოთ ფორმალიზმსა და გულგრილობას; რგოლის, რაზმის, რაზმეულის მეთაურებად ავირჩიოთ მცოდნე, გაბედული, მტკიცე ნებისყოფის პიონერები.

— რაზმი უნდა ზრუნავდეს თითოეულ პიონერზე; თითოეული პიონერი კი უნდა იბრძოდეს რაზმის სახელისათვის!

საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა

მიმართვა

რესპუბლიკის ყველა პიონერისადმი

ყველას! ყველას! ყველას!

გვისმინე, საქართველოს პიონერია!

— ყველაფერში გამოვიჩინოთ თაოსნობა, ინიციატივა!

— ვიყოთ სამაგალითონი ყველგან, შინ თუ გარეთ!

— პატივი ვცეთ ჩვენი ოჯახების ჯანსაღ ტრადიციებს! პატივი ვცეთ ჩვენი აღმზრდელი მასწავლებლების შრომას! გულმოდგინედ შევასრულოთ მათი ყოველი დავალება; სკოლა ჩვენი მეორე ოჯახია, გავუფრთხილდეთ მის სახელს!

— მზრუნველობა არ მოვაკლოთ ჩვენს უმცროს მეგობრებს — ოქტომბრელებს, ვასწავლოთ მათ პიონერული ცხოვრების ანბანი.

— შევიყვაროთ ბუნება, გავუფრთხილდეთ და ვიზრუნოთ მასზე.

— თითოეული პიონერი ჩავაბათ საკავშირო და რესპუბლიკურ შრომით ოპერაციებში: „პიონერული მატარებლები — ბამს“, „მილიონი—სამშობლოს“, „იცოცხლე, წიგნო“, „შავი საბადო“, „შუქურა“, „ნობათი წიქარას“, „მწვანე ოქრო“.

— მივდიოთ სპორტს, ვემზადოთ სამშობლოს დასაცავად, გავხდეთ მშთნიშნოსნები, აქტიურად ჩავებათ „იმედის სტარტებისა“ და „ცისკრის“ თამაშებში.

— მზრუნველობა და ყურადღება გამოვიჩინოთ დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი, ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებისადმი, მოვუაროთ შინმოუსვლელთა ძეგლებს, საფლავებს.

— პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრება აცხადებს ახალ მოძრაობას. ვიწყებთ არკადი გაიდარის დაუმთავრებელი მოთხრობის „უკანასკნელი ღრუბლების“ გაგრძელებას. საქართველოს ყველა კუთხის პიონერებს მოგიწოდებთ ჩაებათ კოლექტიური მოთხრობის შექმნაში. მოთხრობის თითოეულმა თავმა უნდა ასახოს 60 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოს ზრდისა და წინსვლის, რესპუბლიკის მშრომელთა თავდადების, კომუნისტთა, კომკავშირელთა და პიონერთა გმირული საქმეების ისტორია. ამ წიგნს, რომელსაც „წიგნად შეკრულ სხივებს“ დავარქმევთ, საქართველოს პიონერები საჩუქრად მივუძღვნით დიდ რუსეთთან დაძმობილების 200 წლისთავს.

— ჩვენი ძლიერება მეგობრობაშია. პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრებაში, რომელიც მზიურ აფხაზეთში ჩატარდა, ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობს. განვამტკიცოთ ძმობა და მეგობრობა ჩვენი რესპუბლიკის, დიადი საბჭოეთის თანატოლებთან, მსოფლიოს მშრომელი ხალხის შვილებთან. მუდამ ინტერნაციონალისტები ვიყოთ.

— გვახსოვდეს, რომ ჩვენ, პიონერები კომკავშირის მომავალი ცვლა ვართ, ყოველდღიურ საქმიანობაში მაგალითი ავიღოთ მათგან. ვემზადოთ ლენინური კომკავშირის რიგებში შესასვლელად.

— მხარი ვუსწოროთ საქართველოს კომუნისტებს!

— გაისად ჩვენს ორგანიზაციას, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციას 60 წელი უსრულდება. ჩვენ, 80-იანი წლების საქართველოს პიონერებმა სათუთად უნდა ვატაროთ და მომავალ თაობებს გადავცეთ იმ პიონერთა საგმირო საქმეები, ვინც ოქტომბრის რევოლუციის ბარიკადებზე უფროსების გვერდით იბრძოდა და სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მომავალს. თითოეული პიონერის წმიდათაწმინდა ვალია გავუფრთხილდეთ თაობათა ურღვევი მემკვიდრეობის ტრადიციას.

— პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა 50-იანი წლების პიონერებისაგან, მათგან, ვინც ბავშვური გატაცებით აშენებდა ოცნების ქალაქს „მზიანეთს“, თაობათა ურღვევი კავშირის სიმბოლოდ, კეთილი ტრადიციების გაგრძელების ნიშნად ქალაქ „მზიანეთის“ დროშა ჩავიბარეთ.

ვაგრძელებთ წინა თაობათა კეთილ საქმეებს!!! ვაცხადებთ პიონერულ საქმიან თამაშს, რომელსაც ეწოდა: „ვაშენებთ პიონერულ ქალაქ „მზიურს“ — საქართველოს პიონერთა ოცნების ქალაქს!“ — ეს არის საქართველოს პიონერთა სწავლის, შრომის, ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრების 5 წლის პროგრამა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელობით განვახორციელებთ.

პიონერო! რგოლო! რაზმო!

რაზმეულო!

ვისწავლოთ ლენინურად!
ვიშრომოთ ლენინურად!
ვიცხოვროთ ლენინურად!
ვიბრძოლოთ ლენინურად!
გავიმარჯვოთ ლენინურად!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მუდამ მზად ვართ!



ჩვენ ჯანტარა მეგობარო!

დადგა რთული და საინტერესო მოვლენებით სავსე ჩვენი საუკუნის ბოლო მეხუთედი, ოცწლეული, რომელიც თქვენი დავაჟკაცების, შემოქმედებითი სიმწიფის, შრომითი გმირობის ოცწლეული უნდა გახდეს.

თქვენზე, თქვენს კაიკაცობაზე ბევრად არის დამოკიდებული თუ როგორი იქნება XXI საუკუნე, და თუ გსურთ, რომ მომავალ ასწლეულში უფრო ნათელი იყოს ცა, უფრო მხიარულად კაშკაშებდეს მზე და მთელ დედამიწაზე სიკეთე გაბატონდეს, მტკიცედ ჩასჭიდეთ ერთმანეთს ხელი, მხარი მხარს მიეცით და გზად და ხიდად გაიძღოლეთ წინ უანგარო ინტერნაციონალური მეგობრობა.

არჩილ ტაკიძე,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

გათუმის ნავსადგური

ჯილდი ქოვილა

სულითა და გულით მოგესალმებით, „პიონერის" ნორჩო მკითხველებო! თქვენ უნდა იყოთ მომავალში მშობელი ქვეყნის ღირსეული, ნიჭიერი და უერთგულესი პატრონები.

საქართველოს ერთი უძველესი და ულამაზესი კუთხის შვილი ვარ მე. წინათ ჩაგვრა და ჭირი არცერთ ქართულ მხარეს არ დაკლებია, მაგრამ აჭარას მაინც განსაკუთრებით მძიმე ხვედრი ხვდა — სამასწლოვანი ყველაზე მძიმე მონობა. სამი საუკუნის განმავლობაში აქაურ ქართველ ბავშვს ქართული წიგნი არ გადაუშლია, ქართული ანბანი არ წაუკითხავს.

აი, ასეთ კუთხეში გამოაღვიძა და ააღორძინა ახალმა დრომ ეროვნული, ქართული შეგნება, კულტურა, განათლება.

ჭირგამოვლილი უფრო მძაფრად განიცდის მეგობრის მაშველი ხელის სიკეთეს. ამიტომაა, რომ დღეს ჩვენ, აქ მოღვაწე ქართველი მწერლები, ასე წრფელად ვუმღერით ხალხთა ძმობის მადლს.

ჩვენცა და მთელი საქართველოც ამ ძმობა-მეგობრობის ძალამ გადაგვარჩინა. მარად გახსოვდეთ ეს!

ფრიდონ ხალვაში,
პოეტი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჩვენი რესპუბლიკის XI ჯუმბლები

განვითარდება საკურორტო ზონები და ტურისტული ბაზები.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 22-24 პროცენტით გაიზრდება. აქედან მარცვლის საშუალო წლიური წარმოება — სულ ცოტა 466 ტონამდე, ყურძნისა — 1-1,1 მილიონ ტონამდე, ხორცის წარმოება — 160 ათას ტონამდე, რძისა — 710 ათას ტონამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადიდებ უძლეველ კავშირს

შოთა რუსვა

ამ რუკას დახედეთ, ძმებო,
ამ მხარეს, უსაზღვროდ გაშლილს,
ქვეყანას, სადაც ჩვენ ვმეფობთ.
და სადაც ოცნება ფრთას შლის.
მოხუცის,
ჭაბუკის,
ბავშვის, —
ვადიდებ საბჭოთა კავშირს!

რამდენჯერ გაბედეს რკენა,
ფიქრობდნენ — დავშლით და
წავშლით,
ცალ-ცალკე მოგვსპობდნენ ყველას,
მაგრამ ვერ სძლია და ვერა
ბოროტმა გულმა და ხელმა
მტკიცეს და ერთიან კავშირს!

ამ ძმობას ვზრდიდით და ვჭედდით
ძახილზე მამულის მარშის,
და მერე, ხიშტით და მკერდით,
მოსკოვთან ორმოცდაერთში
ვიცავდით ერების კავშირს!

ვდარაჯობთ ჩვენს წყალს და ჰაერს,
ვფუსფუსებთ ბაღში და ზვარში,
გვახარებს პური და ჩაი,
ნახირი — ღრუბელი მთაში,
ხმელეთზე, ზღვაში და ცაში
ვადიდებ სანუკვარ კავშირს!

მე შენთვის, თბილისის მიწავ,
გამოვალ თოვლში და ქარში,
და ვინც შენს სიმღერას იცავს,
შენს ენას —
ერთგულად, —
— ფხიზლად! —
ვადიდებ საბჭოთა კავშირს!

დროშების ამდგარა ქარი,
და ცისარტყელების ზღვაში
სინათლეს დნეპრის და მტკვარის,
ანგარის,
და ნათელ ხვალის, —
რომელსაც არა აქვს ზღვარი, —
ვადიდებ უძლეველ კავშირს!

ჩვენ ვჭერეთ

ეპოქა მეოცეროსანი ძალა

თქვენს წინაშე ნათელი ცხოვრებისა და ბედნიერი მომავლის ფართო პანორამაა გადაშლილი. იგი კი თქვენი უფროსი თაობის თავდაუზოგავი ბრძოლით, შრომით, გარჯით და სწავლითაა მოპოვებული.

ყოველივე ის, რითაც ბედნიერია ჩვენი თაობა, მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. თურქთა სამსაუკუნოვანი ბატონობის დროს აჭარაში ერთი წიგნიც არ დაწერილა, დღეს კი საბჭოთა აჭარა ერთ-ერთი მოწინავე ავტონომიური რესპუბლიკაა თავისი ეკონომიკით, მეცნიერებით, კულტურითა და ხელოვნებით. საბჭოთა აჭარას აშენებს და ამშვენებს ხალხთა მეგობრობის ძალა. ქართველები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, უკრაინელები, ოსები, ბელორუსები, ესტონელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, ლეკები ბედნიერად ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ, შრომობენ ერთ საწარმოში, ერთად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სკოლებში.

ინტერნაციონალურია საქართველოს პიონერული ორგანიზაცია, რომელიც წარმატებით აღწევს დასახულ მიზნებს იმით, რომ სხვადასხვა ერისა და ეროვნების ბავშვები შეხმატკბილებულნი და ერთსულოვანნი ხართ. თქვენი წარმატებები მამულის წარმატებათა საწინდარია, სამშობლოს ბედნიერებაა. გახსოვდეთ, რომ იოლად, თავისთავად, ბრძოლისა და გარჯის, შრომისა და სწავლის გარეშე არაფერი შენდება და არაფერი იქმნება. გახსოვდეთ ეს და მუდამ გაიმარჯვებთ ახალი ცხოვრების მშენებლობისა და მეცნიერების მწვერვალების დაპყრობისათვის ბრძოლაში.

დურსუნ გალაძე.

რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი.



პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა ფიცი

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილენი, რესპუბლიკის 432 000 პიონერის სახელით ფიცსა ვდებთ, მუდამ ვიქნებით სამშობლოს, ხალხის, შრომელიერი კომენისტური პარტიის ერთგულნი; ბეჯითი სწავლითა და შრომით დავამტკიცებთ ლენინის საქმისადმი ერთგულებას!

სათუთად შევინახავთ და მომავალ თაობას გადავცემთ იმ პირველ პიონერთა საგბრონო საქმეებს, ვინც ოქტომბრის რევოლუციის მარიკადებზე, უფროსების გვერდით იბრძოლა და სიცოცხლე შესწირა ჩვენს ბედნიერ მომავალს, გავეფრთხილდებთ თაობათა ურღვევ მეგობრობას!

პიონერულ ზრუნვას არ მოვაკლებთ ჩვენს უმცროს და-ძმებს — ოქტომბრელებს! ღირსეული ცელი ვიქნებიან ლენინური კომკავშირისა!

ჩვენი მთავარი მეგზური იქნება სამარადო, პატიოსნება. მაღალი ღირსებანია: აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით მუდამ ახარს გავუსწორებთ რესპუბლიკის კომენისტებს!

ვფიცავთ!

ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ!

კვლავაც განვამტკიცებთ მეგობრობას ჩვენი რესპუბლიკის, დიადი საბჭოთის თანაბრლუბთან, მსოფლიოს მშრომელთა ზეიერმთან; მუდამ ინტერნაციონალისტები ვიქნებით!

ყველგან და ყველფერში დავიცავთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას; სამშობლოს პირველივე დასახმეზე ჩვენი ფედერალა და ძმების გვერდით დავდგებით რევოლუციის, სოციალიზმის მონაპოვრის დასაცავად!

კომენისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე საზეიმოდ ვფიცავთ, საქართველოს პიონერია იყო, არის და იქნება ლენინის საქმის ერთგული მარად!

ვფიცავთ!

ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ!

შეკრების ცენტრალური ფლ — ალლეთი ლენინის მოედანზე.

ჟურნალისტებს ვუსწორებთ ეჩაკრს

გუზანი რუსეთი

გულითადი ღიმილით, გაზაფხულის ყვავილთა მთარობელი სურნელით, ხორციანი წკრიალა ხმებით სავსე მზიური სოხუმი... 1981 წლის 25-29 მარტი... საქართველოს პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრება — ფოტუმი, რომელმაც უნდა შეაჯამოს ნორჩ ლენინელთა ხუთი წლის საქმიანობა, განსაზღვროს რესპუბლიკის პიონერთა წვლილი სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობათა მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

რესპუბლიკის ყოველი ქალაქის, ყოველი რაიონის პიონერულმა ორგანიზაციამ შეკრებას წარუდგინა პატაკი, სადაც აღნუსხულია ჩატარებული საქმიანობა და დასახული მომავალი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი...

შეკრების პრიველ დღეს დელეგატებმა ზეიმით აღნიშნეს თებერვლის მოძრაობის 40 წლისთავი. აფხაზეთის მხატვართა საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ნორჩ მხატვართა ფერწერული ნამუშევრების გამოფენა, ხოლო კინოთეატრ „აფსნში“ — საბავშვო კინოფილმების ფესტივალი.

— ჩამოვიტანეთ 11 ფილმი, — გვიამბობს „პიონერგიფილმის“ რეჟისორ-ოპერატორი, თბილისის 62-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე გიორგი ჩარუა. — გვინდა შეკრებას გავაცქოთ ჩვენი შემოქმედება და თან თვალნათლივ ვუჩვენოთ, რა შეუძლია მონდომებასა და ბეჯით შრომას.

გახარებულია სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, ნორჩ კინემატოგრაფისტთა წრის წევრი რამინ გაბლაია:

— კარგა ხანია ვმეგობრობთ თბილისელ პიონერებთან, — გვიამბობს ეგი.—ამ მეგობრობამ ბევრი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ახლა დედაქალაქელმა თანატოლებმა კინოპარატუა გვაჩუქეს. ასე რომ, ამიერიდან ჩვენც შეგვეძლება ფილმების გადაღება და მალე იქნებ შეკრებებშიც გამოვიწვიოთ ჩვენი თბილისელი მეგობრები — ვინ უკეთეს სურათებს შექმნის პიონერული ცხოვრების თემაზე, მშობლიურ ქალაქზე, მის მშრომელებზე...

სტრიქონები პასუხებიდან: „მონაწილეობა მიიღეთ მეცნიერებისა და ტექნიკის კვირეულში. თავი გამოიჩინეს მე-13, მე-8, მე-14, 33-ე, 114-ე, 160-ე საქალაქო პიონერებმა... ტრადიციად ექცეთ ნორჩ პიონერთა კონკურსი „ბავშვობაო ფლე“. ბოლო კონკურსში გაიმარჯვა 160-ე სკოლის მოსწავლე ზეხა ბერიაშვილ (თბილისის ლენინის რაიონის პიონერული ორგანიზაცია).

**„ეჯილის პიონერული ორგანიზაციები ჩვენს
 ნაკრებელეთში ნაბეჭდია ბელეზუელების ფიმაფარის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ოპერაციაში „ეზე“. ნოიელეკლამიდებლა ოწკალინან ეჯილის, რეპუბლიკის წარსულის, ლენინურ ბრძოლებში ეჯილელ ბიტრიოტის, ეჯილელ ბიტრიოტის ბელეზუელების ბრძოლის ეჯილელ ბიტრიოტის ბელეზუელ ბიტრიოტის ბელეზუელ ბიტრიოტის ბელეზუ

ეს ბიბუნა „ნორკა ფიზიკოსთა კლუბის“ აპრილური ფენომენია.

ჩემი ჭეშმარიტი ეროვნული

ისიდორ ქოზაური

ბალახი მინდერად ბალახია,
მაგრამ ყანაში, —
პურის ყანაში
არც ბალახი არ ჰქვია ბალახს...
მშიერ ბავშვობას მინათებდა
ფთვარე ნავახშმი, —
ალერსის სიტყვა არ მესმოდა
გულგასახარად...
ოდეს ბრძოლების
ქარიშხალი ამოგრიალდა —
სახალხო ბედი
ჩემს საკუთარ ბედად ვინმამე...
მზე ამოვიდა,
ამომაღლდა,
ამობრიალდა
და გაიშალა
გალვიძებულ დედამინაზე!..
სული გათბა და გამზეურდა
ალანთა მოდგმის,
მამულისათვის დაცემულთა
ღვაწლი დაფასდა, —
განათდა ქოხი —
სიხარულით განათდა ქოხი
და ზეიმურად ბრწყინავს ახლა
ჩემი დარბაზი...
ქართველო ძმაო! —
უძველესი ერთობის ფიცი
თაობებიდან თაობებში
გარდაიცემისს!..
ერთი გვაქვს ფუძე —
ქვიტკირივით მყარი და მტკიცე,
ამიტომ გვქვია
განუყოფელი ძმადნაფიცები!..
ჩემი სიმღერაც ეფფრება
სამშობლოს მიწას,
ჯერ თუმცა სიტყვა საკადრისი
ვერა და ვერ ვთქვი...
მაღალ ტაძარში
ჩემი სულის სანთელიც ინვის —
ძმობის ღაღადისს
ჩემი ხმაც ერთვის!..

თარგმნა, ბეკი ქნილაძემ

ROCK IN ROLL ვიბრონეს

საბრძოლო ნათლობა 1918 წლის 18 მარტს მიეცა. მაიმე ღღეები ოდგა ბაშინ საქართველოში. მეხშვეიების — კოსტა ყაზბეგილს, გიორგი მაჩაბლისა და ალეკსანძის რაზმები დთარეშობდნენ ქარაფლში, ბაშურისა და ბორჯომში. რევოლუციონერმა სერო სანაკოევმა მათი პოზიციების დასაზვერად გამგზავნა. ეს იყო ჩემი პირველი პარტიზანული დავალება, დავალება, რომელმ წარმატებით შესრულებაც კომენსისტური პარტიის რიგებში შესასვლელ რეკომენდაციადაც მექცა.

ამ ექვსი თოეული წლის ბახანალზე ბევრი სიხარული, ტკივილი, გმირობა გადახდა ჩვენმა ქვეყანამ. და ჩემის ფიქრით, გამაოგვება არაჩარეო ხალხის პატრიოტულმა სულისკვეთებამ და ბალალზეიობრივმა იდეალებმა მოგვაპოვებინა, არამედ ჩვენს პარტიაში მოქმედმა ლენინური ინტერნაციონალიზმის დაუწერელმა კანონმაც.

ნიკოლოზ გაგლოევი,

თადარიგის პოლკოვნიკი, პარტიის წევრი 1918 წლიდან. სამოქალაქო და სამამული ომებისა და შრომის ვეტერანი.

ჭალჭიკ მეგობრობა

ლიტერატურასა მეგობრობაა

მარტო დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პეროიოდის მეგობრული, ეთიოლმეზობლური შრომა და ძმური ურთიერთგაგებანი როდი აკავშირებთ ქართველ და ოს ხალხებს. და რა გასაკვირია, რომ ეს მეგობრული ეთიოლგანწყობა მათ კულტურულ, უპირველესად ლიტერატურულ ურთიერთობამეც გამომქალავნდა.

ქართველი და ოსი მწერლები ოდითგანვე მეგობრობდნენ. დღეს ყველამ იცის, რომ სწორედ დიდი ოსი მწერალი კოსტა ხეთაგუროვი დაეხმარა ცნობილ ქართველ მწერალს ალ. ყაზბეგს მისთვის ყველაზე მაიმე წუთებში. წლების მანძილზე ასწავლდა ოს პატარებს ბაშობლიურ ენასა და ლიტერატურას შესანიშნავი ქართველი მწერალი დანიელ ჭოწქაძე.

და განა მარტო ისინი?

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მეტი სითამამე და ელვარება შესძინა ამ ორი უძველესი ხალხის მეგობრობას.

დროთა განმავლობაში უფრო ინტენსიური გახდა, ტრადიციად იქცა კონტაქტები ქართველ და ოს მწერლებს შორის. გაიზარდა ოს მეთხველთა ინტერესი არა მარტო ბაშობლიური, არამედ ქართული, რუსული, აფხაზური და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მრავალეროვანი საბაშობლოს სხვა ხალხთა დიდიარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართაც. ამ ეთიოლმობილერ მისიას, ავერ უკეე ათწლეულია, ერთგულად ემსახურება ოს მწერალთა და მთარგმნელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

კარგი ხანია, რაც ოსი ხალხი ბაშობლიურ ენაზე კითხულობს ბაბა რუსთაველისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, კეკა-ფაშაველისა და გალაკტიონ ტაბიძის, თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს.

მთარგმნელობითი ურთიერთობის გაფართოებამ ქართველ მეთხველს მისცა საშუალება ბაშობლიურ ენაზე გასცნობოდა ოსური ლიტერატურის ელასიკოსთა — კოსტა ხეთაგუროვის, სეკა გამბიევის, ელასმეკო ბრიტაევის, თანამედროვე ოს ლიტერატორთა თხზულებებს.

ასევე ქართველ და ოს ლიტერატორთა წვლილი ჩვენი ხალხების მეგობრობისა და თანადგომის გაღრმავებისა და განმტკიცების ეთიოლმობილერ საქმეში.

კოსტა მარდიევი,

ხაკ. სსრ მწერალთა კავშირის სამმართველო ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

საქართველოს სსრ 60 წლისთავი

ფენდეზეა და მეფენდეზეა საბჭოთა ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი

— რა ამბავი ეოფილა! — ფიქრობს ის ლრლეაუნი.

პიონერიზმის ეროვნული ეტაპი

რამ მე უფრო ის მომეწონა, როცა ახალდამზადებული შოკოლადი გამაესინჯეს. — და უცებ დასერიოზულდა: — ვიცი, მაინც მკითხავთ, კმაყოფილი ვარ თუ არა შეკრებით, და ახლავე ვამბობ: ძალიან კმაყოფილი ვარ... კონკრეტულად გეტყვით: მე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ვარ. მეგონა, რომ ოქტომბრელებთან კარგად ვმუშაობდით, მაგრამ აი, სექციაზე მოვისმინე ქობულეთელი ქეთინო ხუციშვილის მოხსენება და მივხვდი, რომ ბევრი რამ უნდა შევცვალო. ქეთინოს რაზმის ალბომიც ვნახე. შესანიშნავი ალბომია, საინტერესო, საქმიანი.

სტრიქონები პატაკებიდან: „გვიყვარს სპორტი. 1124 პიონერი მშთ-ს ნიშნოსანია... ვლაშქრავთ ბირთვისხია და სამშვილდის ძველ ციხე-ქალაქებს, გუდარეხისა და ფიტარეთის მონასტრებს" (თეთრიწყაროს რაიონის პიონერული ორგანიზაცია).

„მეათე ხუთწლედში შევაგროვეთ 650 ტ ჯართი, 125 ტ მაკულატურა, მოვკრიფეთ 350 ტ ჩაის ფოთოლი, შევაგროვეთ 400 ტ პირუტყვის საკვები, 180 ტ სამკურნალო მცენარე, დავრგეთ და ვახარეთ 6500 ძირი ხე" (ტყიბულის რაიონის პიონერული ორგანიზაცია).

... შეკრების არც ერთ მონაწილეს არასოდეს არ დაავიწყდება მანიფესტაცია კავკასიის დაცვისათვის დაღუპულთა მემორიალთან...

„არავინ და არაფერია დავიწყებული..." პიონერები ჯგუფ-ჯგუფად შემოხვევიან ომისა და კომკავშირული მუშაობის ვეტერანებს — იასონ დარსანიას, რიზაბეკ გულიას, ნიკოლოზ კემულარიას, პირველ სპარტაკელს ნიკოლოზ ჩხოტუას... რა საინტერესო, სუნთქვისშემკვრელი თავგადასავალი გადახდენია თითოეულ მათგანს...

28 მარტს, დილით, ლენინის მოედანი ისევ გაივსო წითელყელსახვევიანი პიონერებით — მოეწყო შეკრების საზეიმო ხაზი. დიდი მღელვარებით მოისმინეს პიონერებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა შეკრების მონაწილეებისადმი. დელეგატებს მიესალმნენ სოციალისტური შრომის გმირი, დურიფშელი კოლმეურნე ნორა საქანია და სამამულო ომის ვეტერანი, მცირე მიწის ბრძოლების მონაწილე შალვა თათარაშვილი... გაიმართა აფხაზეთის ასსრ პიონერთა საზეიმო აღლუმი...

სტრიქონები პატაკებიდან: „სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სიონის საშუალო სკოლის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ყაზბეგის საშუალო სკოლაში საფუძველი ჩაეყარა ვ. ი. ლენინის მუზეუმს" (ყაზბეგის რაიონის პიონერული ორგანიზაცია).

„რთველი-80-ში 700 ტონაზე მეტი ყურძენი მოვკრიფეთ... დავრგეთ 400-მდე ძირი ხე... განსაკუთრებით გვიყვარს სამხედრო-სპორტული თამაში „ცისკარი". ახლა ნორჩ არმიელთა 19 ბატალიონში 2 000-ზე მეტი პიონერია გაერთიანებული" (ახმეტის რაიონის პიონერული ორგანიზაცია).

... შეკრების დახურვის დღეს დელეგატებმა ზღვისპირას საფუძველი ჩაუყარეს აფხაზეთის დედაქალაქის კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობას — **მეგობრობის ხეივანს...**

— რა მომცა შეკრებამ? — გაიმეორა შეკითხვა გორის მე-9 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა ზურაბ უგრეხელიძემ. — უპირველეს ყოვლისა, მან შემმატა იმის რწმენა, რომ სწორი გზით მივდივართ, რომ წლევანდელი შეკრების დევიზს — „კომუნისტებს ვუსწორებთ მხარს!" — საქმით ვახორციელებთ. შეკრებამ მასწავლა, როგორ გავაუმჯობესო მუშაობა, როგორ გამოვყო მთავარი მეორეხარისხოვანისაგან, როგორ უნდა ამოვუდგე მხარში უფროსებს...

— შეკრების დღეებში დიდი ყურადღებით ვუსმენდით საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იოსებ ორჯონიკიძის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის მერი წიკლაურის, აფხაზეთის კომკავშირელთა თავკაცის ს. ბაგაბშის გამოსვლებს. — გვითხრა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მერვეკლასელმა არჩილ ბაციაშვილმა. — ჩვენმა უფროსმა ამხანაგებმა გვირჩიეს განვამტკიცოთ ის მეგობრობა, რომელსაც ამ შეკრებაზე ჩაეყარა საფუძველი. ჩვენ ვიცით, რომ ძმა ძმით არის ძლიერი... მე აქ უამრავი ახალი მეგობარი შევიძინე და ვვრძნობ, რომ მართლაც მომემატა ძალა...

ამავე აზრისანი არიან ინალი მამიტოვი და სულიკო ვასაძე, გალია ფომინა და ალეკო დგებუაძე, არჩილ სალაყაია და ნატო ჩიხლაძე, ფატიმა ბიციევა, ქეთინო გაზაშვილი, მანანა სამუშია და სხვები, ყველანი — ხუთასივე დელეგატი საქართველოს პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრებისა. მათ ახლა კიდევ უფრო მტკიცედ ირწმუნეს, რომ სწორია მათი სავალი გზა, გზა, რომელიც მამა-პაპათ გაკვალეს, გზა, რომელიც ნათელი მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ მიდის...

კიდევ დიდხანს, დიდხანს იგიზგიზებს ნორჩ პიონერთა გულებში მეგობრობის ის კოცონი, XII შეკრების დღეებში სოხუმის პიონერთა ქალაქ „მზიურში" ცას რომ უწვდენდა ალსა და ნათელს, კიდევ ბევრჯერ გაიმეორებენ ნორჩები იქ განაგონ მოწოდებას:

ჰეი, პიონერო,
ზე ასწი მარჯვენა,
დიდი მზე ამოდის,
უთხარ გამარჯვება!

დიახ, არავინ და არაფერია დავიწყებული! სამარადისო დიდება გმირებს!

ფოტო ჯ. ლომაძის და ნ. ჩოხდუაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი
ზურაბ
მეძმარიაშვილი



ჟოთხრობა

— კაი, ბიძიკო, ასე იყოს, არ მოვჭრი მაგ წიფელს. კი იშოვის ბოგია ღრანჯა მასალას უჩემოდ. მარა კარგი ბიჭი ყოფილხარ შენ, კეთილი გული გქონია და იარე, ბიძიკო, ამ ნათელ ქვეყანაზე შენი კეთილი გულით. წამო, ამირან, ავიდეთ ახლა მე და შენ ჩემსას. ეს ბიჭიც წავიყვანოთ და თითო ჭიქით შევსვათ ამ წიფლის გადარჩენის სადღეგრძელო. ა, შენ რას იტყვი, ციყვების ქომაგო?..

ის წიფელი თუა კიდევ ცოცხალია, — ჰკითხა კობამ იმ დღეს შეგობრებს. ცოცხალია და ფეხზე დგას, რა უნდა დამართოდაო, — გაიკვირვეს ბიჭებმა.

ტივტივა გეზად გასრიალდა წყალზე. მერე ირიბად ჩაიძირა. კობამ ანკესი მოსწია და თითქმის წყრთის სიგრძე ქაშაყმა ტყაპანი გაადინა რიყეზე...

— ა, უყურე ამას! — მოესმა უცებ კობას მხიარული შეძახილი და მხარმარჯვნივ ქვიშა აჩხრიალდა. — ჩვენ ამის ძებნას გადავყევით, მთელი ღელე მოვბდღვენით და ეს აგერ არ გასუსულა ჩრდილში მართლა შეთევზესავით?!

ჭოლა, მამუკა და ვალიკო იყვნენ. გაღიმებული მოდიოდნენ, ფეხშიშველები, შარვლები მუხლებამდე აეკაპიწუბინათ და გულმკერდი გადაეღეღათ — ცხელოდა მზის გულზე.

— უყურე შენ, რამდენი თევზი დაუჭერია! — გაიკვირვა ვალიკომ. — არ ხუმრობს ჩვენი ქალაქელი ძმაკაცი, ხომ იცი! აგი ოთხივეს გვეყოფა სადილად. ჩემო ძმაო!

— ჭოლას ნუ ანგარიშობთ, მაგი თევზს არ შეჭამს, ხომ იცით, ყვინჩილაშვილია! — უწყინარი სახით თქვა მამუკამ.

— მთლად უკეთესი! — ჩაეცინა ვალიკოს.

ჭოლას ქათმის ხორცი უყვარდა ძალიან და ბებიამისი ყვინჩილას ან ვარიას თუ არ დაუკლავდა, ის დღე დღედ არ მიაჩნდა და სადილი — სადილად. ამიტომ ეძახდნენ ყვინჩილაშვილს.

— აკეცე ახლა შენი ანკესი და წავიდეთ, — უთხრა ჭოლამ კობას. მამუკას ქილიკი აინუნშიაც არ ჩაუგდია. იცოდა, თუ გაბრაზდებოდა, ბიჭები უფრო შეუნთებდნენ ცეცხლს.

— სად?

— პლანტაციაში.

— პლანტაციაში?

— ჰო. ჩვენს ლამარას დედა საავადმყოფოში უწევს და მარტო ვერ აუთავდა ჩაის კრეფას. არადა, ზღვასავითაა ფოთოლი მოსული, ცოდვაა იმის გაუხეშება.

კობამ ვალიკოსა და მამუკას გადახედა.

— თქვენ სამნი მიდიხართ?

— ოთხნი! — გაუსწორა ვალიკომ. — შენი ჩათვლით. გეყოფა, ბიძიკო, დასვენება. მამუკა გავარდება ახლა, სხვაში არ უქნია გამჩენს, თორემ სირბილში ხუთიანი აქვს. მაგ ანკესსა და ნანადირევს წუთში ბებიაშენს მიურბენინებს, ნინო ბებია რამე საგზალსაც გამოატანს და სანამ ჩვენ ფაცია ბიცოლას ნაკვეთში ავალთ, ეს უმაწვილი დაგვეწევა კიდეც.

— თქვენი მოცვეთი ვარ მე? — ვითომ გაბრაზდა მამუკა, მაგრამ შეეტყო, რომ თავისი სწრაფი სირბილით თავი მოჰქონდა. — ჰო, კაი, მომეცით, რასაც მაძლევთ და გავქრი ახლა მე!

კობა მძიმედ წამოდგა. მხოლოდ ერთი წამით შეყოყმანდა — ბიჭებს არც კი შეუმჩნევიათ ეს — თითქოს პირველი ნაბიჯის გადადგმა უჭირსო. მერე ჭოლას და ვალიკოს კისერში ხელი ჩააცალა (მთელი თავით მაღალი იყო ორივეზე) მსუბუქად მოუჭირა და მარტო ერთი სიტყვა თქვა:

— წავედით!

მზემოკიდებული, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი დაბრუნდა შინ შეღამებისას. ნინოს, რა თქმა უნდა, არ ეეახშმა, შვილიშვილს უცდიდა. კობამ ბებიას ხათრით შეჭამა მრგვალად მოხარშული ვარიის ბარკალი და დაამშვიდა მოხუცი: არ მშია, ბიჭებმა და გოგოებმაც აუარება ხორაგი ამოიტანეს ფაცია ბიცოლას ნაკვეთში და გვიან ნაშუადღევს ვისადილეთო.

— ჩაი ბევრი მოკრიფეთ, ნენა?

— უჰ, ბევრი! ის ნაკვეთი ორ საათში მოვასუფთავეთ — ლამარას თანაკლასელებიც მოსულიყვნენ და ათ კაცს რა დაგვიდგებოდა წინ. მერე საერთო ნაკვეთებს შევესიეთ და იქ მოკრეფილი ფოთოლიც ფაცია ბიცოლას სახელზე ჩავაბარეთ მწონავს.

— კაი, ნენა, კაი! მადლი გიქნიათ.

— კარგი ბიჭი ყოფილა ვალიკო!

— რაო?

— შეგვაგულიანა: მოდით, დღეში ორი-სამი საათი კაცური საქმისათვის გადავდოთ და ხანშიშესულ ან მარტოხელა ქალებს ხელი წამოვუკრათო. მაგრად არის თურმე ჩაი შემოსული და კრეფას ვერ აუდის ხალხი.

— ასეა, ნენა, ასე. იცოდე, ერთი პირი მთას დასძრავს ადგილიდან, დიდი ძალაა ერთობა. კაცი — კაცით და ღობე — სარითო, ხომ გაგიგონია? კაი ქენი. ქვას დადევი, გაიცლი და წინ დაგხვდებაო, აგიც უთქვამს ხალხს...

სამზადიდან გამობრუნებულ მოხუცს შვილიშვილი ოდის ქვეშ არ დახვედრია. მაგიდას სუფთა ჩვარი გადაუსვა, მოაპრიალა და ის იყო დაძახებას აპირებდა (ოდაში ეგონა ასული), რომ შეშის საჩეხის მხრიდან მოესმა მისი ხმა:

— ბებო, სატრე გვაქვს სადმე? ამ წალდს მთლად მოყანყალებული აქვს ტარი. ცულიც გასამაგრებელია.

— კი, ნენა, კი, მაგის შეტი რა მაქვს. კაი აკაციის სა-

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეები მიწყვია ნალიის ქვეშ... მარა შენ შეძლებ ვითომ გაკეთებას? — დაეჭვდა ნინო.

— ნუ გეშინია, ბებო, გავაკეთებ. — კობა ოდის ქვეშ შემობრუნდა. — ნალიის და სამზადის გარშემო კვლებია გასაღრმავებელი, თუ გაწვიმდა, წყალი შემოვარდება შიგ.

— შენ იცი, ნენა! — მოკლედ უპასუხა მოხუცმა და გულში გაივლო: „აგერ ერთ კვირაზე მეტია, რაც ჩამოვიდა, და თითი თითზე არ დაუკარებია. დღეს რა მოხდა, ნეტავი? ღმერთო, შენ მოხედე ყველა ობოლს და გაჭირვებულს!..“

კობა მაგიდას მიუჯდა და ჩაფიქრდა. მის თავს ზემოთ გაჩახჩახებული ნათურა ეკიდა, ქინქლა და ფარვანა ეხვია გარშემო. ნინომ მიწური იატაკი დაგავა, ცოცხი კუთხის ბოძზე მიაყუდა და პირსაბანთან მივიდა.

— ბებია! — წყნარად დაუძახა კობამ.

— ჰო, შვილო!

— საქმე მაქვს შენთან.

— საქმე?

— ჰო. მოდი, დაჯექი აგერ, ჩემს გვერდით.

ნინომ ხელები გაიმშრალა და მაგიდას მოპირდაპირე მხრიდან მიუჯდა.

—რა ამბავია, შვილო?

— ხომ არ გამიჯავრდები?

— დააშავე, ნენა, რამე?

— არა, კი არ დავაშავე, მაგრამ... — კობა შეყოყმანდა, გაჩუმდა. ბებია მოთმინებით ელოდა. ნაოჭებით დასერილ, მაგრამ სწორნაკვთებიან და ჯერ კიდევ სანდომიან სახეზე შვილიშვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის და სიკეთის ნათელი ეფინა. სათვალის შუშის [illegible] რალი ალერსიანი თვალების სხივი თითქოს აქეზებდა კობას. — გუშინ მამაჩემის ძველ წიგნებში ვიქექებოდი და შემთხვევით ბრტყელ ტყავის ჩანთას წავაწყდი...

— ბაბუაშენის სამხედრო საველე ჩანთაა, შვილო, მგონი პლანშეტი ჰქვია, — თავი დაუქნია ნინომ.

— რვეული ვნახე იმ ჩანთაში...

— მერე, წაიკითხე, ნენა?

— წავიკითხე.

— მაგისთვის მკითხე, ხომ არ გამიჯავრდებიო? პირიქით, ნენა, მე თვითონ ვაპირებდი შენთვის იმ რვეულის ჩვენებას. დროა აწი, დიდი ბიჭი ხარ და უნდა წაგეკითხა შენც... მოიცა ერთ წუთს, კიდევ გიჩვენებ რაღაცას.

მოხუცი თავისი ასაკისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით წამოდგა და ოდაში ავიდა. ორიოდე წუთში ჩამობრუნდა, ხელში მაგრად გამონასკვული ცხვირსახოცი ეჭირა. მაგიდას შემოუარა და კობას გვერდით დაჯდა სკამზე. დიდ ხანს უკირკიტა კვანძს, თითები უკანკალებდა, მერე კბილები მოიშველია და, როგორც იქნა, გახსნა. ცხვირსახოცში ორდენი, რევოლვერის ცარიელი მასრა და ფოლადის ბასრწახნაგებიანი ნამსხვრევი იდო.

— ა, ნენა, ბაბუაშენის მაგიერია ეს ნივთები. აქედან გასროლილ ტყვიას იაკობი უნდა მოეკლა, მარა ასე არ მოხდა და ყაჩაღ გერმანელს დაუბნელა მზე, — ნინოს ოდნავ შესამჩნევად უთრთოდა ხმა. — აგი ნამსხვრევი ბეჭისთავიდან ამოუღეს დაჭრილს — კი წაიკითხავდი იმ რვეულში.

მოხუცი გაჩუმდა. ხელები მოწაფესავით ეწყო მაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

16829

ჩემი საქართველო!

წყაროვ, იჩუხჩუხე,
მუხავ, იშრიალე,
ყანავ, იბიბინე,
მზეო, იბრდღვიალე,
ვარდო, გაიფურჩქნე
ბაღში გაზაფხულზე,
ცაო, ცისარტყელა
დამაქარგე გულზე,
მტკვარო, იბუტბუტე,
ზღვაო, იგრიალე,
ჯიხვო, იბალახე,
თერგო, იღრიალე.
არ როს დაშლილიყოს
ძმობის მტკიცე ღობე;
ბულბულო, სიცოცხლის
ჰიმნი იგალობე.
ივები დაიქარგე
გულზე, მწვანე მდელოვ,
ვარდად გაიფურჩქნე.
ჩემო საქართველოვ!

თამილა ფიალაური,
თიანეთის რაიონის ღულულების სა-
შუალო სკოლა, X კლასი.

დაზე. ლაპარაკისას თვალი არ მოუშორებია მასრისა და ნამსხვრევისათვის. კობა სულგანაბული უსმენდა.

— კაცური კაცი იყო ბაბუაშენი, ნენა... ომი დაიწყო თუ არა, თვითონ ითხოვა წაყვანა. პირველად ორმოცდაერთში დაიჭრა, მეორედ — ორმოცდასამის ზამთარში. მაშინდელია ის დღიურები. რუმინეთისათვის ბრძოლამ შეიწირა ორმოცდაოთხში. ომი რომ დამთავრდა, არტაშატელი სომეხი ლევონ ჩარენცი მომადგა ჭიშკარზე. შავი ქაღალდი ადრევე მქონდა მიღებული, მარა ქინძის თესლისხელა იმედი მაინც მედვა გულის კუნჭულში... იმ დღეს კი მეორეჯერ და საბოლოოდ მოკვდა ჩემთვის იაკობი. ლევონ ჩარენცის ხელში დაულევია თურმე სული. ყველა თავისი ნივთი მისთვის ჩაუბარებია სიკვდილის წინ, ჩემს ცოლს ჩაუტანეო, უთქვამს, ბიჭი ერთი წლის დავტოვე, ახლა ოთხის იქნება, რომ გაიზრდება, ყველაფერი მას აჩვენოს და წააკითხოსო... თავისი ხელით მიაბარა თურმე ჩარენცმა რუმინულ მიწას საწყალი ბაბუაშენი...

ჭიშკარს გადაღმა მატარებელმა გაიარა გრიალითა და გრუხუნით. სინათლიდან სიბნელეში არ ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, სავსე ცისტერნებიანი შემადგენლობა იყო: ლიანდაგი რელსების გადაბმის ადგილას მკვეთრად ტაკაცუნობდა და მიწა ირწეოდა — მძიმედ, მონოტონურად.

— ამირანი შენთვის ინახავდა რვეულსაც და ამ ნივთებსაც, ნენა, — განაგრძო მოხუცმა, როცა მატარებელმა ჩაიარა და სიჩუმე ჩამოვარდა. — მარა ვერ მოესწრო შენს დიდ ბიჭობას და რას იზამ... იმ დღეს უნდა მოვმკვდარიყავი მეც, სამართალი რომ იყოს ამ ქვეყანაზე... მარა შენ დარჩი ამირანს და შენი გულისთვის დავრჩი მე. შენ მაიძულე თავიდან შევჩვეოდი მზის ყურებას და ისევ მესუნთქა საქაოს ჰაერი... ჰოდა, მადლობა ღმერთს, თითქმის მომასწრო დალოცვილმა შენს დავაჟკაცებას და აწი რაღამ უნდა მომკლას, ნენა, შენ თუ კაი და სასახელო ბიჭი გამეზრდები, ისე ჩავთვლი, იაკობი და ამირანი გამცოცხლებიან-თქვა...

ნელი, სულ ნელი ნიავი ქროდა და ოდნავ აშარიშურებდა ფოთლებს. გაბმულად მღეროდნენ ჭრიჭინები. სადღაც, შორს, ძაღლი ყეფდა. წინ, ჭიშკართან, ყრუ ბაგუნი მოისმა — მსხალი თუ ჩამოვარდა ხიდან.

კობამ თითი შეახო ფოლადის ნამსხვრევს, მერე აიღო და ხელისგულზე აწონ-დაწონა.

— რა ძმიმეა... — ჩაიჩურჩულა.

ფაკი მეშვიდე

„გამარჯობათ, ბადრი მასწავლებელო!

არ ვიცი, იქნებ გაწუხებთ, იქნებ დროს გართმევთ ამ წერილით, მაგრამ თქვენსავე დავალებას ვერ გადავედი — აუცილებლად მომწერე სოფელში გატარებული დღეების შესახებო. და აი, გწერთ.

დედაჩემი და მირიან კორძაძე დასასვენებლად რომ გაემგზავრნენ, მეორე დღესვე წამოვედი თბილისიდან. თქვენთან აღარ შემომივლია, ვიცოდი, სახლში რომ არ იქნებოდით — აკი დაკრძალვაზე აპირებდით წასვლას.

ბილეთის ასაღებად მიმავალს დილით თამრიკო შემხვდა, მეგონა გაბრაზებული ჩამივლიდა გვერდით, ახლოს რომ არ ვიკარებდი რაზმის საბჭოს იმ სხდომის შემდეგ, მაგრამ არა, ღიმილით მომესალმა და მომიკითხა. ამ საღამოს რას აპირებო, — შემაპარა ბოლოს. რასა და სოფელში მივემგზავრები, იქნებ სულაც იქ დავრჩე და მეურვეობისაგან გაგათავისუფლო-მეთქი, მაინც ეს წამომცდა, და მგონი, უკმეხადაც გამომივიდა. თამრიკომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ისევ გამიღიმა, ვერსადაც ვერ გაგვექცევიო, — მითხრა და თითი დამიქნია, — ჩვენს იქით ბზა არა გაქვსო.

სალაროებიდან სახელოსნოში წავედი. ლავრენტას და რაფიკას ვუთხარი, საღამოს რესტორანში გეპატიჟებით, სამპროცენტიანი ობლიგაციით ფული მოვიგე-მეთქი. ორივეს კინაღამ ინფარქტი დაემართა. სინამდვილეში დედაჩემის დანატოვარი ფული მქონდა. რესტორანში წასვლაზე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დამთანხმდნენ.

ჩემი ტანსაცმელი და ბებიასათვის ნაყიდი საჩუქრები ერთ ჩემოდანში ჩავატიე, ის ჩემოდანი ვაგზლის შემნახველ საკანში მივაბარე და საღამოს რვა საათზე „არაგვთან“ შევხვდი ჩემს „ძმაკაცებს“.

მაგიდა ოთხი კაცისთვის გავაშლევინე. ლავრენტას გაუკვირდა, მეოთხე ვინღაა. შემოგვიერთდება-მეთქი, დავაშვიდე. სუფრა რომ გაგვიწყვეს, შუბლში ხელი ვიტაცე. აუჰ, ერთ ადგილას მისასვლელი ვიყავი. სულ გადამავიწყდა. თქვენ შეუდექით და ნახევარ საათში აქ გავჩნდები-მეთქი. ლავრენტამ ცოტა ეჭვით კი შემომხედა. მაგრამ ბოლოს — „კარგი, წადიო“, — გამოიმეტა წყალობა.

ჩვენი მიმტანი მოვიძებნე, ოთხმოცი მანეთი მივეცი, ვთხოვე, ამის საღირალი პურმარილით უზრუნველყავი ის ხალხი-მეთქი, მერე ქაღალდი და ფანქარი გამოვართვი და ასეთი ბარათი დავწერე: „ლავრენტ! რაც შენ ჩემთვის კონიაკითა და ლუდით პატივი გიცია, ჩემი ანგარიშით ეს სუფრა გაასწორებს... ის მეოთხე ადგილი ჩვენი საერთო მეგობრისათვის, ლადო-ბრიხასთვის დავიკავე. ხოლო ჩემს სკამზე შეგიძლიათ სერაფო დასვათ. დღეიდან კი თქვენ — თქვენთვის და მე — ჩემთვის“. მიმტანს ვუთხარი, მოემსახურე და აშლას რომ დააპირებენ, ეს წერილი მაშინ მიეცი-მეთქი. წარმოდგენილი მაქვს, რა მოუვიდოდათ.

ყველაზე საინტერესო ამბავი მაინც სადგურში მოხდა, ბაქანზე, ვიდრე ვაგონში ავიდოდი. მივდივარ ჩემთვის, წამით გვერდზე მივიხედე და უცებ ვიღაც უზარმაზარ ულვაშა კაცს დავეჯახე. ბოდიშის მოხდაც ვერ

ეროვნ. ბიბ. საქ. სსრ
ჩასაბარებელი რესპუბლიკა

თავი მეორე

მოვასწარი, მხარში ხელი ჩამავლო, სინათლისკენ შემაბრუნა, დამაკვირდა და სახე გაუნათდა:

— მოიცა, მოიცა, ჭაბუკო! რა გვარი ხარ შენ? — შემეკითხა.

— რაში გაინტერესებთ ჩემი გვარი? — არცთუ თავაზიანად შევუბრუნე კითხვა.

— შენ ამირან ნაკაშიძის ვაჟი ხომ არა ხარ, ჭაბუკო?

— გახლავართ. — გაკვირვებულმა ვუპასუხე. — მერე რა?..

თურმე მამაჩემის მეგობარი ყოფილა, თემურ ოდიშარია, მილიციის კაპიტანი. ამდენი ხანია, შენი მოძებნა მინდოდა და ყოველთვის ხელი შემეშალა, ვერა და ვერ

-ვახერხეო. ახლა სოფელში რომ არ მიდიოდე, წაგიყვანდი და ჩემს ოჯახს გაგაცნობდიო. თითქმის შენი ტოლი ქალ-ვაჟი მყავსო. ტელეფონის ნომერი მომცა, ჩემიც გამომართვა, ნებისმიერ საკითხზე და ნებისმიერ დროს გინდა დამირეკე. გინდ მოდიო. როგორც საკუთარ ბიძასთან ისე თამამად და მოურიდებლადო... რომ იცოდე, როგორ გავხარ მამაშენს, ტყუპისცალივითო... მეფერა და მეფერა.

ძალიან კარგი კაცია. თქვენც აუცილებლად მოგეწონებათ...

სოფელზე რა მოგწეროთ... ბებია ეხით აუწერელი სიხარულით შეგხვდა, ამხანაგებიც. კარგია აქ, ვისვენებ, კერთობი, კკითხულობ, თან ვმუშაობ კიდეც ცოტ-ცოტას. მართლა ვმუშაობ. ჩაის ვკრეფთ, სიმინდს ვთოხნით. ამას წინათ ბრიგადის გაზეთი გავაფორმე. კარიკატურები დავხატე სიცილით დაიხოცა დიდი და პატარა. კინოაფიშებსაც ვუწერ კლუბს — აქაურები ასე ეძახიან კულტურის სახლს.

ახლა კიდევ ერთი რამ:

ბაბუაჩემი (არ მახსოვს, იმ ღამეს გიამბეთ თუ არა) ომში დაიღუპა. ერთ დროს თურმე დღიურებს წერდა. მტრის ზურგში მოხვედრილა და ორ უკრაინელ პიონერს, ობოლ და-ძმას გადაურჩენია სიკვდილისაგან. ნაგანში ერთადერთი ტყვია ჰქონია, თავისთვის ინახავდა. თურმე, თუ მტერი მის ხელში ჩაგდებას მოახერხებდა, თავი უნდა მოეკლა. მაგრამ ის ტყვია გერმანელ ოფიცერს დაახალა, როცა ფაშისტმა თვალწინ დაუხვრიტა მისი გადამრჩენელი პატარა ბიჭუნა... ეს დღიურები ბაბუაჩემის ფრონტელ მეგობარს ჩამოუტანია ბებიასთვის. ჯერ ვიფიქრე, თბილისში რომ დავბრუნდები, მაშინ ვუჩვენებ ბადრი მასწავლებელს-მეთქი. მაგრამ ვერ მოვითმინე და ამ წერილთან ერთად გიგზავნით. ის კი არა, გამოგიტყდებით: ეს რვეული რომ არ ყოფილიყო, იქნებ საერთოდ არ გამომეგზავნა წერილი... ხომ არ მიჯავრდებით?..

ნახვამდის, ბადრი მასწავლებელო.

...კობა გულაღმა იწვა თბილ მიწაზე, რბილ ბალახში, თავქვეშ ხელები ამოეწყო და ცას შეჰყურებდა. ცაზე იმხელა მზე ეხთო, გუმბათის ნახევარი ეკავა და მთელი ქვეყანა ოქროსფერი სხივების ჩქერში იყო გახვეული. თვალებდაჭიმული ვალიკო კობასკენ დაიხარა და გაბრაზებულმა უთხრა:

— შენი ნიჭი რომ მქონდეს, ავდგებოდი და, ყველაფერ ამას ახლავე დავხატავდი! — ხელით დიდი წრეხაზი შემოავლო. შიგ ცა, მზე და მიწა მოაქცია. შეხედე, რა ხდება. ამის დაუხატაობა შეიძლება?! არ გრცხვენია?

მინდორზე ჭოლა მოდიოდა ცეკვა-ცეკვით, მაღლა აწეულ ხელში შემწვარი ქათამი ეჭირა და მირიან კორძაძის ხმით მღეროდა.

Песня нам жить и строить помогает...

...კობამ თვალი გაახილა. ღია ფანჯრის მინაში არეკლილი მზის სხივები სახეზე დასდგომოდა. სამზარეულოში მირიანი ღიღინებდა თავის საყვარელ სიმღერას. მეორე ოთახიდან დედის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა გამოდიოდა — ტელეფონით ესაუბრებოდა ვილაცას.

კობამ კედლისკენ გაიჩოჩა — სანე მოარიდა მზეს. მარცხნივ მიიხედა და აივანზე მომდგარი ალვის ძირთოლვარე კენწერო დაინახა. „ამოუღწევია! — გაიფიქრა. — წელს ბევრი მოუმატებია სიმაღლეში!“

სიზმარი გაახსენდა და სოფელი დაუდგა თვალწინ.

ჯერ შორიდან მოუარეს ჭოლამ და ვალიკომ, მერე ლამარა და ხაოუნაც აიყოლიეს და ბოლოს ერთად გატეხეს სათქმელი: აქ დაიბადე და აქაური კაცი გქვია. იმ რკინა-ბეტონის საძეფოში ისედაც კერ ეტევა და ერთმანეთს ჭყლეტს ხალხი. ჩვენთან კი ხალვათობაა, დაჰკარი ფეხი. მიდი, საბუთები გამოიტანე სკოლიდან და ჩამოსოფელდიო (სწორედ ასე უთხრეს ჩამოსოფელდიო). ხატვაში ოქროს ხელი გაქვს. სკოლას და სოფელს გამოადგები, სწავლა შენ არ გიჭირს, შრომას რაც შეეხება, ხალხი აალაპარაკე. აქაურებიც უკან ჩამოგვიტოვეო... თან მამისეულ ეზო-გარემოს მიხედავ, თან მოხუცებულ ბებიაშენსაც შეეხიდები, ცოდვაა მარტოქალი, დაიღალაო...

ყველაზე ძლიერი ბოლო არგუმენტი იყო, მაგრამ კობას ადრევე ჰქონდა ამაზე ნაფიქრი და პასუხი არ გასჭირვებია: სკოლას დავამთავრებ თუ არა, მაშინვე მუშაობას დავიწყებ და ბებიას ჩემთან, ქალაქში გადავიყვანო. მერე, სწავლაო? — ჰკითხეს. საღამოს სწავლება ვისთვის და რისთვის არსებობსო? — მოუჭრა კითხვითვე. აქაურობას ვისრა უტოვებო? — ერთხელაც შეუტიეს. თქვენ აქ არა ხართო? — ისევ შეუბრუნა კითხვა. — აბა რის ძმაკაცები ხართ ცოტა ხანს მოუარეთ ამ კარ-მიდამოს. ამასობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესს დავამთავრებ და მაშინვე მამა-პაპეულ კერას დავუბრუნდებიო... ეს თქვა და ხუთი წყვილი ხელი ერთ უზარმაზარ მუშტად შეიკრა. ბიჭები კუშტი და სერიოზული სახით იდგნენ, ლამარამ და ხათუნამ კი ბაგეებს ვეღარ მოუყარეს თავი...

ხოლო ბებია...

— არა, მართლა მაგარია ლაშარიძის ქალი! სხვა ალბათ ცრემლებს გადმოყრიდა მის ადგილას, ნინომ კი ჭიშკართან შეაჩერა მიმავალი შვილიშვილი, წაღმა შემოატრიალა, მხარზე ხელი ჩამოადო და წყნარი ხმით უთხრა:

— აბა შენ იცი, ნენა! ბაბუაშენის და მამაშენის ალიკვალი ხარ და იმათ კაცურ სახელს რომ დაშვენდება, ისე მოიქეცი. აგია მთავარი. გულს ყოველთვის დაეკითხე, მარა გონებით თუ არ განსაჯე, ისე ნურაფერს გააკეთებ. აგიც მთავარია, იცოდე. თუმცა რას გარიგებ, აგი შენ ყველაფერი კარგად იცი, სხვას შეგიძლია ასწავლო. ჰოდა, წადი ახლა, ნენა, წადი და წაღმა იარე სულ! — ბებიამ კისერში ხელი მოსდო კობას, გადმოხარა, შუბლზე აკოცა. ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ჭიშკარისკენ შეაბრუნა. — იჩქარე, შვილო, არ დაიგვიანო. ამხანაგები გელოდებიან, ე, ლიანდაგის გადაღმა...

წრფელი და უანგარო სიყვარული, გულითადობა, უშუალობა და დიდზე დიდი სითბო გამოჰყვა სოფლიდან კობას, ქვეყნის სამყოფი სითბო...

მატარებლიდან ჩამოსულმა ფეხი აითრია გუშინ, ცარიელ სახლში უნდოდა მოსვლა. მაგიდაზე ბარათი დახვდა: „რამდენჯერმე გიკითხა ტელეფონით შენმა მასწავლებელმა. დაიბარა, ჩამოვა თუ არა, დამირეკოსო". დედის ხელი იყო. რა თქმა უნდა, ბადრი ნაკაშიძე იკითხავდა. მაშინვე დარეკა, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო...

— სძინავს ყმაწვილკაცს? — მოისმა სამზარეულოდან მირიანის ხმა. — თუ წავიდა უკვე?

„ყმაწვილკაცს!"

— სად უნდა წასულიყო ამ დილაადრიან?

— რა ვიცი, რა ვიცი... მოდი, დაჯექი შენც. დაშაქრე ჩაი?

— არა... დაღლილია და დაისვენოს, იძინოს ცოტა.

— დაღლილი, თორემ კოლმეურნეობაში მუშაობით მოიკლავდა თავს! იწვა ალბათ სადმე ჩრდილში და წიგნებს კითხულობდა... ჰო, მართლა, წიგნებზე გამახსენდა: იყავი სკოლაში?

— რატომ?

— ესეც მე უნდა გაგახსენო? რატომ და სახელმძღვანელოები აღარ სჭირდება წლეულს? თუ შარშანდელები არგია?

— რად არ მოუკვდები! მთლად არ გადამავიწყდა?

— ასეა, ასე! ჰოდა, ცოტა ადრიანად დაბრუნდი დღეს შინ და მიდი სკოლაში, იქნებ აქვთ რამე დარჩენილი, თუ არა აქვთ და ათმაგი მიეცი თითო წიგნში, ხელად გაგიჩენენ. ფულს ნუ დაინანებ, ნუ ვათქმევინებთ ხალხს, მამინაცვალი ჰყავს და დაიჩაგრა ბავშვი, საკმარისი სახელმძღვანელოებიც კი ვერ უშოვესო. სახელს გაფრთხილება უნდა, ხომ იცი!..

„მირიკოს სახელს!"

ფინჯანში კოვზი არაწკუნდა — მირიანი შაქარს ურევდა. მერე ისიც მკაფიოდ მოისმა. როგორი ხმაურით მოხვრიპა ცხელი ჩაი კობა ფანჯრისკენ შებრუნდა. ლაქვარდისფერ სივრცეში მერცხლები და ნამგალები დასრიალებდნენ. სადღაც ახლოს (სარეცხის თოკზე იჯდა ალბათ) ბეღურა ჟივჟივებდა საცოდავად. აივნის მოაჯირთან ოდნავ. სულ ოდნავ ირწეოდა ალვის კენწერო, უფრო იქით კი ფანტასტიკური კონსტრუქციის სატელევიზიო ანტენებით აჯაგრული რვასართულიანი სახლის სახურავი მოჩანდა. ეზოში ვიღაც ავტომობილის საყვირს არეგულირებდა, მერე აღმართში გამაყრუებელი ღმუილით აიჭრა მანქანა — ჩანდა, მაყუჩი ჰქონდა მოშლილი და ამიტომ ღმუოდა ასე აუტანლად. ღმუილი მიწყდა და ახლა ტრამვაის ვაგონმა ჩაიარა რახრახითა და ზარის წკრიალით... შორიდან კი უკვე კარგა ხანია ისმოდა დიდი ქალაქის მოგუდული ხმაური — თითქოს მაგმა გუგუნებსო ახალგაღვიძებული ვულკანის გულში...

გუშინ კობამ წიგნის თაროზე ერთი კუთხე გაათავისუფლა და იქ ბაბუასეული ნივთები — ნაგანის ცარიელი მასრა, ჭრილობიდან ამოღებული ყუმბარის ნამსხვრევები, წითელი ვარსკვლავის ორდენი, ორი გაცრეცილი ბლოკნოტი და ჯიბის დანა დაალაგა. მერე უკან დაიხია, ის კუთხე შორიდან შეათვალიერა და მიხვდა, რომ იმ წუთიდან აღარასოდეს მარტო აღარ იქნებოდა, მის პატარა ოთახში სამუდამოდ დაივანა უფროსი იაკობ ბლაგიძის სულმა...

ყარი გაჯახუნდა — დედა და მირიანი სამსახურში წავიდნენ...

გუშინ, ნაშუადღევს, თავისი მაგიდა და წიგნები რომ მოაწესრიგა, კობამ ქალაქში გაისეირნა. მონატრებოდა ქალაქი. რუსთაველის გამზირი ფეხით ჩაათავა, ლენინის მოედანი შემოიარა, უკან გამობრუნდა. „ივერიასთან" ელბაქიძის დარმართზე ჩაუხვია, მარჯანიშვილის ქუჩით პლეხანოვზე მოსეირნეთა ნაკადს შეერია და „დინამოს" სტადიონთან რომ მივიდა, უკვე ბინდდებოდა. „მშობლიური" სარეკლამო სახელოსნო აქედან ათიოდე წუთის სავალზე იყო, ორი კვარტალის იქით. და გულმა არ მოუთმინა, არ შეეევლო. შიგ რომ ახლა არავინ იქნებოდა, ეს იცოდა. და ყარი მართლაც დაკეტილი დახვდა. მაგრამ უბრალოდ დაკეტილი კი არა, დალუქული. „აუყვანიათ, — გაიფიქრა და არ გაკვირვებია, რომ ეარგონული ტერმინი იხმარა. ერთი ძია თემურს უნდა დავურეკო, იქნებ იცის ამათი ასავალ-დასავალი. საინტერესოა, ბრიხაც თუ მოჰყვა ბადეს?.." ბრიხა... სოფელში ყოფნისას ხათუნას მაძის ბიბლიოთეკა დაათვალიერა — ხათუნას მამა ქართულის მასწავლებელი იყო. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. დიალექტოლოგიური ლექსიკონის ფურცელისას ასეთ განმარტებას წააწყდა: „ბრიხი (მოხეურად) — ელამი". ხეტავი თვითონ დაირქვა მაღალგანათლებულმა ლადომ ეს მეტსახელი თუ სხვა ვინმემ შეურჩიაო, — გაიფიქრა მაშინ. მაინც, როგორი თვალთმაქცი შეიძლება იყოს თურმე ადამიანი!..

ტელეფონმა დაიწკრიალა.

ისევ გაუმართლდა გუმანი: აპარატთან მისვლამდე უკვე იცოდა, ვინ რეკავდა, და გაუხარდა. როცა ყურმილში მართლაც ბადრი მასწავლებლის ხმა გაიგონა.

მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავი ახარა ბადრი ნაკაშიძემ. სოფელში ყოფნისას თავი გისახელებიაო, უთხრა: კოლმეურნეობის გამგეობას ქების წერილი გამოუგზავნია სკოლის დირექციისათვის, კარგი მოსწავლე გაგიზრდიათო, მთელი ზათხული მხარეში გვედგაო, სადაც ყველაზე უფრო გვჭირდა, თავისი მეგობრებით სწორედ იქ გაჩნდებოდაო, ათიოდე გოგო-ბიჭმა იმდენა საქმე გააკეთა და იმდენი შრომადღე გამოიმუშავა, ერთ ბრიგადას თავს გადაუვაო, მოხუცებსა და ბარტოხელებს ეხმარებოდნენო, კობა ბლაგიძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით სოფლის ცენტრში შესანიშნავი შინმოუსვლელთა სტენდი მოაწყვეს, სკოლის რემონტშიაც წილი დაიდესო.. მალე რაიონულ გაზეთში აისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებაო მათი საქმიანობა, იქაური კორესპონდენტი „ახალგაზრდა კომუნისტისთვისაც“ ამზადებს თურმე ვრცელ წერილს... ერთი სიტყვით, ამ ზაფხულში ნამდვილი გმირობა ჩაგიდენიაო. — დაასკვნა ბადრი მასწავლებელმა. შენი წერილი და ბაბუაშვილის ნაამბობი დიდი ინტერესით წავიკითხეო. თუმცა ამაზე ცალკე ვილაპარაკოთ. ნახევარ საათში სკოლაში ვიქნები და იქ მოდი, მაინც მოსასვლელი ხარ. შენთვის სახელმძღვანელოები მაქვს გადანახული და უნდა გიგატანოო.

კობამ სწრაფად ისაუზმა, ბებიასგან მოზრდილი თმა გულდაგულ გადაივარცხნა. საღამოს შემოვისწორებო, გაიფიქრა, სარკეში თავის გამოსახულებას გაუღიმა. აპარატთან მივიდა და ლომსაძეების ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ალო, თამრიკო ხარ?

— დიახ.

— გამარჯობა, შეფო!

— უი, კობა ხარ?! გაგიმარჯოს! როდის ჩამოხვედი?

— გუშინ.

— რატომ გუშინვე არ დამირეკე?

— ვისვენებდი. ძალას ვიკრებდი. დღეიდან ხომ ჩემი აღზრდა უნდა განახლო და ბევრი სამუშაო გამოჩნდება.

— რანაირი ხარ!

— სკოლაში იყავი?

— წიგნებისათვის? კი, ვიყავი, შენი წიგნები ბადრი მასწავლებელმა გადაინახა.

— ვიცი... დღეს სადმე ხომ არ მიდიხარ?

— არა, რა იყო?

— წამო, კინოში წავიდეთ.

— სად?!

— კინოში.

— კინოში?!

— ჰო, აქვე, „სიხარულში“... რა გადის, არ ვიცი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს.

— მარტო მე და შენ?

— მერე რა... თუმცა... შენი პატარა ძმაც წამოიყვანე, თუ გინდა.

— რომელ საათიანზე?

— ორზე, ოთხზე... რომელზედაც გაგიხარდება.

— კარგი. დაგირეკავ. ხომ სახლში იქნები?

— სახლში ვიქნები. აი, წიგნებს მოვიტან სკოლიდან და აღარსად წავალ. შენს ზარს დაველოდები... შეფო!

პასუხად ყურმილში სიცილი გაისმა...

ზაფხული თავდებოდა, მაგრამ მაინც მხიარულად კაშკაშებდა მზე.

მზია ჩხეიძიანი

იმ გაფაცებით

ხნულში,
მზვარეში,
ეზო-ყურეში
ჩადგა აპრილი კალთახასხასა.
ატმის ყვავილის,
ვარდის ფურცლებს შლის,
ცაცა და მიწაც ააჩახჩახა;
რა სიხარული შემოგვიტანა,
რა ოცნებები,
ფრენის წადილი,
უკრავს საოცარ ჯადო-გიტარას,
უცხოდ ნაქარგი შვენის მანდილი.
ჰეი, გამოდით!
გვიხმობს ყიჟინით,
ერთად წამოგვშლის მერცხლის
გუნდებად,
იმ გატაცებით,
იმ წვით,
იმ ჟინით,
იმ შემართებით აგუგუნდება,
როგორც სჩვეოდათ ძველი
გვარდიის
თავგადადებულ წითელ მეომრებს.
რაკი ოცნებით გმირებს გვადრიან,
ჩვენც მათ საქმეებს გავიმეორებთ,
ვინც ქარტეხილში,
ჭყაპში, ყინვაში
ძხარდაძხარ იდგა ამხანაგებთან
ძლევდა ცდუნებას.
შიმშილს,
მირაჟებს,
გზები გაჰყავდა,
ჰესებს აგებდა!
ძველი გვარდიის წითელ მეომრებს
ხარაჩოებზე
გრდემლთან,
დაზგასთან
შევცვლით, მათ საქმეს გაიმეორებს
რაზმები ასთა, ასიათასთა!
მტკვარზე,
არაქსთან,
დნეპრზე, ვოლგაზე
წამოვიშლებით მერცხლის
გუნდებად,
— შაბათობაზე! შაბათობაზე! —
ჩვენი სიმღერაც აგუგუნდება.
ჩვენც წაგვიძღვება ხატი ბელადის
მხარზე ძორით და თვალში
ალერსით.
იყოს ჩვენი გზაც მზეზე ფერადი
სამშობლოს ნათელ მატიანეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის საჩუქარი

ეს ფოტოსურათი მე-8 რაზმის პიონერებმა ფაბრიკის მოწინავე მუშებთან შეხვედრის შემდეგ გადაიღეს.

ფაბრიკის შესასვლელში ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ალისფერყელსახვევიანი ყმაწვილები. მათ აქ ყველა იცნობს — იციან, რომ ეს ბავშვები არიან იმ საექსპედიციო რაზმის წევრები, რომელსაც „მზე“ ეწოდება. საბჭოთა საქართველოს სახელოვან იუბილეს ეძღვნება პიონერთა რესპუბლიკური ოპერაცია, რომლის სიმბოლური სახელი „მზე“ უკავშირდება საქართველოში დიდი ოქტომბრის ნათელი მზის ამობრწყინებას.

ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის მერვე რაზმის პიონერები ლელა ლეკვეიშვილის წინამძღოლობით ფაბრიკის ისტორიას სწავლობენ. ქუთაისის მაუდის ფაბრიკას კი სახელოვანი თავგადასავალი აქვს.

ეს იყო 59 წლის წინათ. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა სამოქალაქო ომის მძიმე ჭრილობებს იშუშებდა. არ კმაროდა პური, სურსათი, სანოვაგე, არ იყო საკმაო ქსოვილები და ტანსაცმელი, ქვეყანას აკლდა დაზგები და მანქანები, ის-ის იყო იწყებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა.

და აი, ამ მძიმე ჟამს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ნებით მოსკოვიდან საქართველოსაკენ დაიძრა მატარებლები. ვაგონებს ქართველი ხალხისათვის მოჰქონდა რევოლუციის ბელადის საჩუქარი — საქსოვი დაზგები, საქსოვი და საჩეჩი მანქანები. 1922 წლის შემოდგომაზე რუსმა სპეციალისტებმა ქუთაისში მთელი საქსოვი ფაბრიკა ჩამოიტანეს. მათ თავდადებით იშრომეს დაზგა-დანადგარების ასაწყობად და გასამართავად, გაუზიარეს ქართველ მეგობრებს თავიანთი ოსტატობა, ასწავლეს რთული საფეიქრო საქმე.

ორი წლის შემდეგ ქუთაისის მანქანების გუგუნმა გააცოცხლა. 1924 წლის 12 ოქტომბერს ქუთაისის გაზეთი „მუშა და გლეხი“ სიხარულით წერდა: „დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება ქუთაისის მაზრის მშრომელებისათვის. და არა მარტო ქუთაისის, არამედ მთელი საქართველოსათვის. დღეს ქუთაისის მუშები და გლეხები ზეიმობენ თავის მორიგ გამარჯვებას. მორიგ მნიშვნელოვან მიღწევას. დღეს იხსნება ქუთაისის საქსოვი ფაბრიკა“.

მას შემდეგ 59 წელმა განვლო. შენებისა და გამარჯვების დიადმა წლებმა სახე უცვალეს ქუთაისს — იგი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრია. ქუთაისში მრავალი დიდი საწარმო აიგო. საქვეყნოდ არის განთქმული ქუთაისური ავტომანქანები, ქუთაისში ამზადებენ მცირე გაბარიტიან ტრაქტორებს და ათასგვარ ქსოვილს, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს, ავეჯსა და საღებავებს. ბროლსა და რეზინის ნაწარმს...

ამ დიდი წარმატებების მიღმა თითქოსდა უნდა გაფერმკრთალებულიყო მაუდის საქსოვი ფაბრიკა, მაგრამ არა, იგი კიდევ უფრო ძვირფასი გახდა არა მარტო როგორც ისტორიული რელიკვია, არამედ, როგორც ახალი მიღწევებისა და გამარჯვებების მოსაპოვებლად შემართული კოლექტივი.

ყოველივე ამას ჩინებულად ადასტურებს ის ორი ციფრი, რომელიც ლელა ლეკვეიშვილის მიერ შედგენილი ალბომიდან ამოვიწერეთ: ფაბრიკა პირველად წელიწადში 24 ათას მეტრ მაუდს უშვებდა, ახლა კი მილიონ მეტრზე მეტს უშვებს — წარმოება ორმოცჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა!

— ფაბრიკაში დამზადებულ საგნებს საპატიო ხუთკუთხედი, ხარისხის ნიშანი ამშვენებს. — ისეთი ხმით გვეუბნება ლელა, თითქოს ეს ჩინებული საბნები მისი მოქსოვილი იყოს. დიახ, მუშებთან, სახელოვან შრომით კოლექტივთან მეგობრობამ პიონერებისათვის განსაკუთრებით მახლობელი გახადა ფაბრიკა, მისი მშრომელი ადამიანები.

მერვე რაზმის პიონერები ამაყობენ, რომ მათი უფროსი მეგობარი, მოწინავე მქსოველი ნანული შოთაძე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ დელეგატმა ბევრი რამ საინტერესო უამბო ყმაწვილებს, ერთად შეუდგნენ ოპერაცია „მზის“ საექსპედიციო ალბომის შედგენას.

პიონერები შეხვდნენ და ესაუბრნენ ქარხნის ვეტერან მუშებს აკაკი ჯანელიძეს, დიმიტრი სვანაძეს, ნინო კუბლაშვილსა და სხვებს. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა იაკობ ქილარჯიანთან, რომელიც პირველი დღიდანვე მუშაობდა ფაბრიკაში. მათი ნაამბობი ახლა პიონერულ ალბომს ამშვენებს. კითხულობ ამ სტრიქონებს და ნათლად გრძნობ, თუ რესპუბლიკის წარმატებებთან ერთად როგორ იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ მისი ადამიანები.

ფაბრიკის ეზოში დიდი ლენინის ქანდაკება დგას, იმ ადამიანის ქანდაკება, ვისი საჩუქარიც არის ეს ფაბრიკა და ვის სახელსაც ღირსეულად ატარებს საქართველოს პირველი საფეიქრო საწარმო. ლელა და მისი თანარაზმელები ქანდაკების ერთ-ერთ ავტორს ვალერიან მიზანდარს შეხვდნენ და ალბომში მისი ნაამბობიც ჩაიწერეს.

ლენინი საქართველოში არა ყოფილა. მაგრამ ქართულ მიწაზე კარგად იგრძნობა მისი ზრუნვის მადლი. ქუთაისში კი უკვდავ ძეგლად დგას და გუგუნებს მაუდის ფაბრიკა — ლენინის საჩუქარი, რუსი და ქართველი ხალხების მარადი ძმობისა და მეგობრობის დიდი სიმბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №5

გაქვს მორალური უფლება?!

ქუთაისელი მოსწავლის წერილში მოთხრობილი ამბავი, სამწუხაროდ, ახლა იშვიათი მოვლენა არ არის. ზომაზე მეტად მოდურად ჩაცმულნი, სხვადასხვა სამკაულებით მორთულ-მოკაზმულნი მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაში კი არა, მასწავლებელთა შორისაც გვხვდებიან. ასეთები არასასურველ გავლენას ახდენენ სხვებზე, როგორც ეს დამართნია ცირა კ-ს.

ცირას მსგავს ახალგაზრდებს ეზარებათ ფიზიკური და გონებრივი შრომა, წიგნთან დიდხანს ჯდომა და მეცადინეობა არ შეუძლიათ, არ ცდილობენ საზოგადოებრივ მოვლენათა გაგებას, ბუნების საოცარი მრავალფეროვნების შეცნობას. კარგია, რომ მეშვიდეკლასელმა გოგონამ შეამჩნია ეს მახინჯი მოვლენა და ცდილობს მიუთითოს ამხანაგს ამ ნაკლზე, გამოასწორებინოს იგი... ამხანაგს ნაკლის მითითებასთან ერთად აქებს კიდეც, ტანადი, ლამაზი გოგოაო ცირა, უხდებაო ის მორთულობა, რომელშიც ძლივს იცნეს ამხანაგებმა... მაგრამ ლალის მაინც ეუცხოვა, რომ მეშვიდეკლასელი გოგონა ანგარიშს არ უწევს ოჯახის შესაძლებლობას.

წერილში აღნიშნულია, ცირა ხალისიანი, პირდაპირი გოგონაა, ყველაფერზე საკუთარი პრინციპული აზრი აქვსო. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი თვისება განაპირობებს იმას, რომ იგი „თავის ნათქვამაა“, როგორც ხალხში ამბობენ ამგვარ პიროვნებაზე.

ცხადია, ცირას საქციელში პირველი დამნაშავეა დედა, რომელიც ყველაზე ახლოს არის თავის შვილთან. ვინ იცის, ცირას მამა რომ ჰყოლოდა, იქნებ სხვანაირად ყოფილიყო საქმე!.. ხომ არის ისეთი ოჯახებიც, სადაც შვილების ჩაცმულობაზე, მათ ყოფაქცევაზე ცოლსა და ქმარს შორის ხშირად იმართება დავა: ვთქვათ, მამა მომხრეა, რომ შვილებს ეცვათ უბრალოდ, თუმცა მოხდენილად, რომ მთავარია წესიერება, შრომა, სწავლაში წარმატებები... დედა წინააღმდეგობას უწევს და ამბობს: „შეხედე! მავანისა და მავანის შვილებს როგორი ძვირფასი ტანსაცმელი აცვიათ, ჩვენი შვილები რატომ უნდა იყვნენ მათზე ნაკლებით?“ ალბათ, ცირას დედაც ამ მოსაზრებისაა და ამიტომ აცმევს ისე ძვირფასად თავის მეშვიდეკლასელ გოგონას, უსრულებს მას ყველა ახირებას.

ბავშვების არასწორი აღზრდის გამო მშობლებთან ერთად პასუხი უნდა აგონ მასწავლებლებმაც, მათ შორის და პირველ რიგში იმათ, რომლებიც კლასში გაკვეთილის ჩასატარებლად ზიზილ-პიპილებში უცხოდ ჩაცმულნი შედიან.

ყოველმა მოზარდმა უნდა შეიგნოს, რომ ოჯახში იგი მარტო არ არის და მორალური უფლება არა აქვს, თავისი ახირებული სურვილების დასაკმაყოფილებლად დაზარალოს ოჯახის ბიუჯეტი. მას უნდა ახსოვდეს დიდი ილიას ნათქვამი:

„კაცი სხვისი მარგიც უნდა იყოს და თავისი თავისაც“.

როსტომ ელანიძე,
მწერალი.

დაუფიქრდი...

მე უკვე ერთი წელია კომკავშირელი ვარ, მაგრამ დიდი ინტერესით ვკითხულობ ჟურნალ „პიონერს“.

წავიკითხე 1981 წლის 1-ლ ნომერში გამოქვეყნებული ლალი დ-ს წერილი. მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა ცირა კ-ს შესახებ.

მოდაზე ჩაცმა-დახურვა ცუდი რამ არ არის, მაგრამ ახალგაზრდამ, ვინც არ უნდა იყოს ის, ანგარიში უნდა გაუწიოს თავის ოჯახურ მდგომარეობას. ცირა გოგონაა და იმდენს კი უნდა ხვდებოდეს, რომ მარტოხელა დედას გვერდში ამოუდგეს და მძიმე შრომა და გულისტკივილი—„ჩემს შვილებს მამა არ ჰყავთ და არაფერი დავაკლოო“—ცოტა მაინც შეუმსუბუქოს. სხვა თუ არაფერი, მოდურად ჩაცმას მერეც მოვესწრებით, მოსწავლის ფორმა კი სკოლის დამთავრების შემდეგ კარადაში ჩაიკეტება და ვეღარასოდეს გამოვიყენებთ.

ეჰ, ცირა, შენ ალბათ არც გიფიქრია იმაზე, თუ რამდენი ღამე უტეხია დედას თეთრად შენზე ფიქრში, რამდენჯერ შეკუმშვია გული ტკივილით, რამდენი ცრემლი დაუფრქვევია. დედის ცრემლი ხომ ყოველთვის თვალიდან არ მოედინება, დედის ცრემლები გულიდან მომავალი სიმწრის ნაკადია. ჩემო მეგობარო, მე შენზე ბევრით დიდი არა ვარ და მინდა, როგორც მეგობარს, გირჩიო: აბა დაფიქრდი, რამდენს წვალობს დედა შენთვის, გაითვალისწინე, რომ დედას შენს გარდა კიდევ ორი შვილი ჰყავს და ისინიც ისევე უყვარს, როგორც შენ. აბა დაფიქრდი (თუმცა ამაზე ფიქრი ჯერ თითქოს ნაადრევია, მაგრამ მაინც), შენც ხომ მომავალი დედა ხარ, შენ თუ აქედანვე არ შეისისხლხორცე დედის პატივისცემა, დედაზე ფიქრი და ზრუნვა, შენს შვილებს დედა არ ეყვარებათ, შენი შვილები დედას პატივს ვერ სცემენ იმიტომ, რომ შენ ვერ ასწავლი ყველაფერს ამას. ადამიანი კი, რომელიც დედას არ სცემს პატივს, დედას არ უფრთხილდება, სხვის პატივისცემას ვერ შეძლებს. დაუფიქრდი ყველაფერ ამას, ცირა, დაუფიქრდი.

თამთა გელდიაშვილი,
ახმეტის I-ლი საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

ჩვენ თბილისის 147-ე სკოლის მეათეკლასელები ვართ. გვინდა მონაწილეობა მივიღოთ დისკუსიაში. ჩვენი აზრით, ჩვენს თანატოლებს უნდა ეცვათ ისე, როგორც მოსწავლეს შეეფერება: ფორმა, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები, გოგონებს ბაფთები უნდა ამშვენებდეს. „მოდურად“ ჩაცმას ყოველთვის მოვესწრებით, მოწაფეობა კი არასოდეს დაბრუნდება. ბევრ ჩვენს ამხანაგს სკოლაში ჭრელაჭრელა აცვია, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლებით დაბაკუნობენ, ნაირ-ნაირი ვარცხნილობა აქვთ. ჩვენ ასე გვჯერა: მოსწავლე ჩაცმით უნდა განსხვავდებოდეს მასწავლებლისა და მშობლისაგან. მოსწავლეები ბაძავენ ერთმანეთს, უნდათ ნინიკოზე, ეკაზე, გიაზე უკეთესად ეცვათ. მოითხოვენ მშობლებისაგან. მათ კი ხშირად ამის შესაძლებლობა არ გააჩნიათ და იქმნება უხერხულობა, ოჯახში იძაბება ურთიერთობა...

სულ მალე სკოლას დავამთავრებთ, ავირჩევთ ცხოვრების გზას, ვისწავლით, ვიმუშავებთ და გვჯერა, რომ საკუთარი ხელფასით ან სტიპენდიით შეძენილი ნივთი მეტ სიამოვნებას მოგვიტანს.

ლია ჭალიძე, გია კუბლაშვილი,
ლია ჟურდაძე, მაია დალაქიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ჩვენი სოფლის სასაფლაოზე გაინისვენებს ვიეტნამის მოქალაქე ჯონ სონ შონი, რომელმაც სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩვენი სოფლის ჩაის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა ტექნოლოგად. იგი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. დაღუპული უცხოელი ხალხმა შობლიური მზრუნველობით მიაბარა მიწას. მისი საფლავისათვის ყურადღება არც ნორჩებს დაგვიკლია — მეორე რაზმის პიონერები ვასუფთავებთ და ლამაზი თაიგულებით ვამკობთ. ვეცნობით შონის ცხოვრებას: ჩვენი რაზმი ახლახან მისი სახელობის გახდა. რაზმის თითოეული პიონერი ვცდილობთ ჩვენი ზრუნვით გამოვხატოთ მადლობა იმ ამაგისათვის, რაც მან ჩვენი სოფლისათვის გასწია.

ნანა ჯოჯუა,
ოჩამჩირე, ახალი კინდღის საშუალო სკოლა, VII კლასი.

რაზომ გაურბიან ბიჭები პიონერულ მუშაობას?

ამას წინათ პიონერთა რაიონულ შეკრებაზე ერთი პიონერხელმძღვანელი ჩიოდა, პიონერული აქტივის 80 პროცენტს გოგონები შეადგენენ, ბიჭები გაურბიან პიონერულ საქმიანობასო. სხვებმაც მხარი დაუჭირეს. ისიც თქვა, — ზოგიერთი სკოლის ანსამბლებშიც თითო-ოროლა ბიჭს თუ შეხვდებით, უფრო სწორად ეს გოგონათა ანსამბლებიაო. მე ვფიქრობ, ბიჭები რომ გაურბიან პიონერულ მუშაობას, ეს იმის ბრალია, რომ ზოგი ორგანიზაციის გეგმები მშრალია და უინტერესო.

კარგი იქნებოდა, რომელიმე ბიჭისათვის ასეთ ორგანიზაციაში ნდობა გამოეცხადებინათ — რაზმის საბჭოს თავჯდომარედ, რგოლის ხელმძღვანელად ან კლასის ორგანიზატორად აერჩიათ, გეგმაში ბიჭებისთვის საინტერესო ღონისძიებებიც შეეტანათ, მაგალითად: კონკურსი „ვინ მეტი იცის ფეხბურთზე“, — ბიჭებს ხომ ძალიან უყვართ სპორტის ეს სახეობა. სხვა რამის მოფიქრებაც შეიძლება.

როცა ბიჭები პიონერული მუშაობით დაინტერესდებიან, მაშინ რაზმის თუ რაზმეულის ცხოვრებაც უფრო სახალისო და მრავალფეროვანი გახდება.

ერთი სიტყვით, ბიჭებსაც შეგვიძლია და გვინდა მუშაობა, თუ სწორად მოგვიდგებიან.

ბესიკ შაკიაშვილი,
გურჯაანი, კარდანახის საშუალო სკოლა, VII კლასი.

თავი არ შეგვირცხვენია

ჩვენ, ცაგერის საშუალო სკოლის პიონერები და ოქტომბრელები, მუდამ აქტიურად ვმონაწილეობთ რესპუბლიკურ ღონისძიებებში. რა თქმა უნდა, ტრადიციას არც გასულ წელს ვუღალატეთ და მთელი ენერგიით ჩავებით წინასაყრილობო სამზადისში.

საკუთარი ხელებით გავარემონტეთ და გავალამაზეთ საკლასო ოთახები, ზაფხულში ჩვენს მიერ დამზადებულ 4862 კგ თივას დავუმატეთ 8 ტონა ჯართი, 2 ტ მაკულატურა, მოვკრიფეთ 845 კგ ხილი, საკმაო რაოდენობით შევაგროვეთ აკაციის თესლი.

ომში დაღუპული კაკო ბენდუქიძის ოჯახს დავეხმარეთ მოსავლის აღებადაბინავებაში და დიდი მადლობაც დავიმსახურეთ.

შეხვედრები მოვუწყეთ ჩვენი რაიონის პირველ კომკავშირელს თ. ტვილდიანს, თადარიგის პოლკოვნიკს, ომის ვეტერან გრიგოლ კანაჩაძეს, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულს, შვებულებით ჩამოსულ ჯარისკაცს დავით ცვარიანს. დათო სკოლაში კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩეოდა. სწორედ ამან განაპირობა მისი წარმატება სამხედრო სამსახურში.

კონსტიტუციის დღეს, 7 ოქტომბერს, ჩავატარეთ სპორტული შეჯიბრი „ამანათრბენი“, დავლაშქრეთ გვესოს ციხე, სადაც სამხედრო თამაში „თვალთვალი“ გავმართეთ. ძალზე საინტერესო თამაში გამოგვივიდა.

ოქტომბრელებმა მხარი აგვიბეს პიონერებს. შეისწავლეს ჩვენი ლამაზი ქალაქის განვითარება ყრილობიდან ყრილობამდე, მეგობრობა დაამყარეს ნია-გრუზინსკაიას საშუალო სკოლის მეორეკლასელებთან. კლასში შექმნეს მცირე ბიბლიოთეკა, სადაც უკვე 250-ზე მეტ წიგნს მოუყარეს თავი.

აქტიურად მონაწილეობდნენ ოქტომბრელები ჯართის, მაკულატურის, სხვადასხვა თესლის შეგროვებაში. მათ საშეფო ურიერთ აქვთ ცაგერის მეცხოველეობის კომპლექსთან. ყოველთვიურად ჩაატარებენ საკვები, ეხმარებიან კომპლექსის მუშებს. იქ ჰყავთ თხა „ბაკუნა“ და პაწია ლეკვი „ბიმბო“. ორივენი საოცრად საყვარლები არიან, მისვლისას სცნობენ პატარებს და სიხარულით ეგებებიან.

კიდევ ბევრი ღონისძიება ჩავატარეთ ცაგერელმა ნორჩებმა. უფროსების წინაშე დღემდე თავი არ შეგვირცხვენია და არც მომავალში შევირცხვენთ.

ნ. ფალავანდიშვილი,
რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე,
ნ. დავითულიანი,
ოქტომბრელებთან მუშაობის საბჭოს თავმჯდომარე.



სპილო

ნიკო სერგეენკო
თბილისის 164-ე საშუალო ექსპერიმენტული სკოლა, 1-ლი კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლან ჩაჩანიძე

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

იფანრიდე, ვნვანე ჯეჯილო!

შეხვედრა ღიღი ხნის შემდეგ

მაღალი, გაწლიკვული ბიჭი მოღრეცილ პატარა ფიცრულზე წამოსკუპებულიყო. ფიცრული ვუწოდო თუ ხუხულა, არც კი ვიცი, იმ საცოდაობას, რომელიც ოდესღაც ალბათ საქათმის მოვალეობას ასრულებდა.

მეორე ბიჭი იმ ფიცრულში შემძვრალიყო. ციცქნა კარიდან პატარა თავი ისე მოუჩანდა, იფიქრებდით, კედლის საათიდან საცაა გუგული უნდა გამოძვრეს და ერთი მისებურადაც შემოსძახოსო.

მესამე ბიჭი ფიცრულის წინ იდგა. ტლაპოში ფეხებგაჩაჩხულს მარჯვენა ხელი ჰაერში აღემართა და გამომწვევად გაჰყვიროდა:

— აბა ერთი სცადე და ფეხი გადმოდგი! აი ხაზი, რომ არის გავლებული, ე მაგ ხაზს გადმოშორდი! მაშინვე ამ ქვას შუბლში გხეთქავ და ოთხ დღეში პეტრე-პავლეს სასაფლაოზე აღმოჩნდები. ხის ჯვარსაც არავინ დაგისობს თავთით. მორჩა, ახლა სხვა დროა, ჯვარი მოდაში აღარაა.

ის კი, შავგვრემანი ბიჭი, ვისი მისამართითაც ეს მუქარა გაისმოდა, ჭიშკართან, ეზოს ბოლოში იდგა. მასაც ღარიბულად, მაგრამ სუფთად და კოხტად ეცვა, თმაც ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი.

— ღმერთმანი, საქმისათვის მოვედი, თქვენთვის კარგი მინდა. მოდით. მეგობრულად მოვილაპარაკოთ. ეუბნებოდა დამხვდურთ.

— თქვენთან არავითარი მოლაპარაკება არ გვსურს. ეს ჩვენი ტერიტორიაა, ჩვენი სახლი. აკი გითხარი, წინ წამოხვალ და სულსაც მანდვე ჩაბარებ უფალს. გირჩევნია, საიდანაც მოხვედი, ისევ იქით გაუტიო. გაიგე, რას გეუბნები? კარგი მინდა შენთვის და ჭკუასაც მიტომ გარიგებ, — მერე ენა გამოუყო და ბრანწი აჩვენა.

ამ დროს ჭიშკარში სამი ბიჭი შემოვიდა. უსიტყვოდ ამოუდგნენ გვერდით შავგვრემანს, ფიცრულის წინ მდგომი მაშინვე გრამაფონივით დაიქოქა:

— აბა, ერთი დედიშენის შვილი ხარ და წინ წამოდი, შენცა და მაგ შენს ამფსონებსაც ჭაში ნახათქუნები ვედროსავით დაგიჩეჩქვავთ თავს.

— რა გაყვირებს? განა რა დაგიშავეთ? ჩვენც შენსავით ღარიბების შვილები არა ვართ? ხომ ხედავთ, როგორ გვაცვია? გვინდა სწორ გზაზე დაგაყენოთ! — კვლავ მშვიდად უთხრა შავგვრემანმა.

იმ ერთმა, ფიცრულში რომ იყო შემძვრალი, დაამთქნარა, ფიცრულიდან გამოძვრა და მის წინ მდგომ ბიჭს გახედა.

— შენა, კიკნავ, რა ლექციებს უკითხავ, ლეწე ეგ ბომბი მაგ ნაბიჭვრებს და გაათავე. ხედავ, ლამისაა საწოლშიაც შემომიძვრნენ. დაიკარგეთ აქედან, თქვე ციხგლიანებო!

— ციხგლიანები კი არა, სპარტაკელები ვართ. ციხგლიანები და ტილიანები თქვენსკენ მოიკითხეთ... — აპილპილდა ერთ-ერთი ახალმოსული, მაგრამ მის გვერდით მდგარი მეორე ბიჭი ხალათის სახელოში სწვდა და გააჩუმა, მერე „საქათმისაკენ“ გაიხედა.

— ეი, ძმებო! ჩვენ ყველანი პროლეტარიატის შვილები ვართ. მოვსულვართ, რომ ჩვენ ღვიძლ ძმებს გაგაგებინოთ ახალი ყოფის სიკეთე, გასწავლოთ როგორ აუწყოთ ფეხი ახალ ცხოვრებას.

ფიცრულის თავზე მჯდარი ბიჭი ძირს ჩამოხტა, ფართხუნა შარვალი რომ არ ჩამოვარდნოდა, ხელით დაიჭირა და დაუსტვინა. მერე მიწაზე დაპურჭყა და წრიპინა ხმით დაიყვირა:

— ერთი ესეც გვითხარით, რომელი ფეხი უნდა ავუწყოთ ცხოვრებას, მარცხენა თუ მარჯვენა? მოიფიქრეთ და ისე გვიპასუხეთ.

— ორივე, ორივე ფეხი, — დაიძახა იმ ბიჭმა, ჭიშკართან მდგომთან ყველაზე ადრე რომ გამოცხადდა ამ ეზოში.

— აბა, შეაყოლეთ... ხაბარდა! — დაიყვირა ფართხუნაშარვლიანმა და მარჯვენა ხელი მოიქნია.

●

— გოგი, ამათგან არაფერიც არ გამოვა. მთლად გაველურებული არიან, — თქვა ერთმა, ჭიშკრიდან მშვიდობით რომ გამოვიდნენ.

— არა, გამოვა, — ჯიუტად თქვა გოგიმ. — მაგათაც მოვდრიკავთ. შენ რა მოგვიდა, გრიშა? ასე ადვილად დაყარე ხმალ-თოფი? იცოდე, უფლება არა გვაქვს უყურადღებოდ დავტოვოთ ჩვენი ღვიძლი ძმები.

— შენ ღვიძლი ძმა უძახე, მე კი თქვენს მოსვლამდე უგინებელი არავინ დამიტოვეს, მერე იმ ნაგვის ჭიამქვა აიღო და კინაღამ თავი გამიჩეჩქვა.

— ეე, ბიჭებო, ცხოვრებამ მიიყვანა აქამდე, ცხოვრებამ. ხომ ხედავთ, რა ხდება ირგვლივ, განა მტერი მთლად მოსპობილია, ისევ და ისევ იკბინება, — გოგიმ მარჯვენა ხელი მომუშტა. — ისინი ამათ ჩასძახიან, თქვენ რომ ამ დღეში ხართ, ეს სულ რევოლუციის ბრალიაო. ცარიელ ქვევრის ამბავი ხომ იცით, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. ამ საცოდავებსაც სჯერათ. ეს არის და ეს...

— მე კიდევ გრიშას სიტყვები მენიშნა, — თქვა მესამემ.

— რა გენიშნა, ვანო?

— ამ დეკლასირებული ელემენტისაგან არაფერი გამოვა. ხომ ხედავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დღეშიაც არიან. ი ტურტლიანი ჩანგოი, საქათმიდან რომ გამოიზლაზნა, ატამანად ზის. ისაა ყველაფრის ოინბაზი. დანარჩენები კიდევ მის დაირაზე უკრავენ.

გოგომ გაიცინა.

— და'სწორედ პირველ რიგში ჩანგო უნდა შემოვაბრუნოთ.

— გიგაურო, მართლა აგრე ფიქრობ თუ ხუმრობ?! — ვანომ გაკვირვებით შეხედა მის გვერდით მომავალ გოგის.

— არცა ვხუმრობ და არც არაფერი. პირველ რიგში ჩანგო ვაქციოთ კაცად. გაიგე?

— გაგებით კი გავიგე, მაგრამ თქმა ერთია, გაკეთება კიდევ მეორე. ვიცნობ მაგ ჩანგოს, ვიცი რა ვერცხლის შაურიანიცაა. ეგ ჩვენს ზურნაზე არა და არ დაუკრავს.

— დაუკრავს. ისე დაუკრავს, შენი მოწონებული, არა და ძალით დავაკვრევინებთ. მოკვდეს გიგაური, თუ არა!

გოგომ ფეხი ისე გამეტებით დაჰკრა ქვაფენილზე, თითქოს მთავარი და მთავარი მტერი ზედ დაესრისოს.

ისინი ვიწრო, ჭუჭყიან ქუჩაში მიაბიჯებდნენ. ქუჩის ორთავე მხარეს აგურის ერთ-ორსართულიანი სახლები იყო ჩარიგებული, აქა-იქ თუ გაერეოდა სამსართულიანი. მერე ქუჩა პატარა სკვერს მიადგა.

სკვერის ბოლოს მომცრო ორსართულიანი შენობა იდგა. პირველი სართულის წინა მხარეს სამი განიერი სარკმელი მოჩანდა. ჩალეწილ ფანჯრებს ზოგან სქელი მუყაო ჰქონდა აკრული, ზოგან ჩვრებით იყო ამოქოლილი. ერთადერთი მოღრეცილი კარი საცოდავად ეკიდა ჟანგიან ანჯამაზე.

ის კარი გოგომ გამოაღო და შენობაში შევიდა. სხვებიც უკან მიჰყვნენ. მაშინვე მოზრდილ ოთახში აღმოჩნდნენ. ჭერს ზოგან ბათქაში მოშორებოდა და კარგად ჩანდა ერთმანეთზე გადაჯვარედინებული თხელი ფიცრები. ზოგან იატაკის ფიცრებიც ამოცვენილიყო. არც კედლებს ადგათ კარგი დღე. შუა ოთახში მეწამული გრძელი მაგიდა იდგა. ახლა ამ მაგიდას ოთხი ბიჭი მისხდომოდა, მეხუთე—კუთხეში მიდგმულ მეორე მაგიდას დასტრიალებდა. მაგიდაზე სქელი ქაღალდი იყო გაშლილი.

გოგი და მისი მეგობრები რომ შევიდნენ, ის ბიჭი, კუთხეში მდგარ მაგიდასთან რომ ფუსფუსებდა, შემობრუნდა.

— რა ქენით, ისევ ხელცარიელი მოხვედით?

— იმ გამურული ტურების მოთრევა პატარა საქმე ხომ არ გგონიათ? — თქვა ვანომ და ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— რაო, ისევ ილრინებიან?

— ილრინებიან და მეტი არა? ქვით კინაღამ თავი გაგვიხეთქეს, — ახლა გრიშამ ამოღერღა.

—ჰო, გამოდის, რომ ვერ იმარჯვეთ.

— მაგ კედლის გაზეთს მოეშვი, მიშა, ელიაზე წამობრძანდი და გვაჩვენე შენი მარიფათი, დაგვანახე, როგორ გაბაწრავ იმ ტურებს.

— რაო, განა ასე მოუხელთებელი არიან? — მიშა მაგიდას მოშორდა.

— სცადე, რა ვიცი, იქნებ შენ იმარჯვო, — უთხრა ახლა გიგაურმა.

— თქვენ რა, ჩემზე ნაკლები მკლავი გაქვთ?

— გოგი, — დაიძახა ერთმა იმათგანმა, გრძელ მაგიდას რომ უსხდნენ, მაგ ტურების შესაპყრობად, როგორც ჩანს, ყველანი უნდა წავიდეთ. აი მოვრჩეთ ამ კედლის გაზეთს და გზას გავუყვეთ. მაგარი ბიჭები ჩანან, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები.

— მაგრები კი არა, თავზეხელაღებულები არიან... აი, გიოს დუქნიდან ერთი ტომარა შაქარი რომ აწაპნეს, ჩანგოზე იძახიან, იმის საქმეაო... მე რომ მკითხოთ, მჯერა კიდეც. სწორედ იმ ხანებში დავინახე, ჯიბეები შაქრით ჰქონდა გამოტენილი, საქათმესთან იჯდა მზის გულზე, ჯიბიდან თითო ნატეხს იღებდა და ღოღნიდა. — თქვა ვანომ.

სწორედ ამ დროს ოთახის კარი ისევ გაიღო. ზღურბლზე სამი ბიჭი და ერთიც კიდევ გამხდარი გოგო გამოჩნდა. მაღალი, ხმელი ყმაწვილი წინ მოდიოდა. ჯიბეებიანი შავი ხალათი ეცვა, თუშური ქუდი ეხურა. მეორე უფრო დაბალი იყო, კრიალა ცისფერი თვალები ჰქონდა, და თავზე ტალღასავით ადგა ქერა ქოჩორი. მესამე, შავგვრემანი ყმაწვილი, ყავისფერი გაცრეცილი კიტელით იყო.

— გამარჯობათ, საქალაქო რაიონის სპარტაკელებო! — დაიძახა წინ მომავალმა, — მე ანდრო ბარსეგოვი ვარ ნაძალადევის მუშათა კლუბის სპარტაკელთა კოლექტივიდან. ესენი ჩვენი ხალხია. ეს, — გოგი კიკნაძეა, ეს — ჩვენი კოლექტივის მედოლე საშა შმელიოვი, ეს კი — ანა ზენტეკი. თქვენი საქმეების შესახებ გვესმოდა და გადავწყვიტეთ გაგცნობოდით.

მასპინძლებიდან სულ პირველად გოგი მოშორდა გრძელ მაგიდას. ხელები წინ გაიშვირა და ხმამაღლა დაიძახა:

— კეთილი იყოს თქვენი ფეხი! მე ამ კოლექტივის ხელმძღვანელი გოგი გიგაური ვარ. ჩვენც დიდი ხანია ვფიქრობდით თქვენთან შეხვედრაზე. თქვენ დაგვასწარით. იცნობდეთ, ჩვენი კოლექტივის წევრები არიან, — გიგაური ცოტათი გვერდზე გადგა და თავისიანებს გადახედა. — ჩემი მოადგილე ვანო შოთაშვილი, გრიშა მარდალეიშვილი, პეტრე მინდიაშვილი, ვანო სააკაძე, მიშა სულხანიშვილი... —და ასე, ყველა ჩამოთვალა. — დაბრძანდით. მართალია, მდიდრულად ვერ გამოვიყურებით, მაგრამ მაგიდა და სკამები მაინცა გვაქვს.

გრძელ მაგიდასთან დანჯღრეულ ტაბურეტებზე მოთავსდნენ სტუმრებიცა და მასპინძლებიც. ჩამოსხდნენ და უცბად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პირველმა გიგაურმა დაარღვია დუმილი.

— კარგ დროს მოხვედით. სწორ-

ედ ახლახან წერილი მივიღეთ მოსკოვის „კრასნაია პრესნიას“ რაიონის მეთექვსმეტე სტამბასთან ჩამოყალიბებული პიონერული კოლექტივისაგან.

— რაო, რას იწერებიან? — იკითხა ბარსეგოვმა.

— ჯერ ჩვენ გავუგზავნეთ წერილი, ვთხოვეთ შეეტყობინებინათ, როგორ მუშაობენ, რას აკეთებენ, რა ღონისძიებებს ატარებენ, როგორი შედეგი აქვთ. გუშინწინ პასუხიც მოგვივიდა. დაწვრილებით გვწერენ თავიანთ საქმეებზე. ჩვენ ეს ბარათი გუშინ კოლექტივის საჯარო შეკრებაზე წავიკითხეთ. გადავწყვიტეთ, ვიმეგობროთ კრასნაია პრესნელებთან, კოლექტივის შესაკრებ ოთახში კი მეგობრობის კუთხე მოვაწყეთ, აქ გამოვფენთ ყველა ფოტო და სხვა მასალას, რასაც კი ჩვენი მოსკოველი მეგობრები მოგვაწვდიან.

— კარგი საქმეა, — თქვა ღიმილით ანდრო ბარსეგოვმა, — ეს თაოსნობა მისაბაძია. რამდენი რამის სწავლა შეიძლება მეგობრებისაგან. — მერე თვალი ჩამონგრეულ კედლებს მიმოავლო და გააგრძელა: — ბიჭებო, არ გეწყინოთ და, ბინა ჩვენ უკეთესი გვაქვს, მუშათა კლუბში ყველაზე კარგი ოთახი დაგვითმეს. ისედაც ძალიან გვეხმარებიან. თუ რაიმეს წამოვიწყებთ, ჩვენთან არიან.

— სამაგიეროდ, არც ჩვენ ვართ მუქთად, — საუბარში ახლა გოგი კიკნაძე ჩაერია. — ამასწინებზე კლუბის ირგვლივ მთელი მიდამო სულ მოვაკრიალეთ. იმდენი ჯართი შევაგროვეთ, ეზოში რკინის კოშკი აღიმართა.

— ჯართი ჩვენც ბლომად მოვაგროვეთ, — დაიძახა ვანო შოთაშვილმა.

— ჯართი ჯართია, მაგრამ მე ისევ იმათზე ვფიქრობ, კრასნაია პრესნელებზე, — თქვა ანდრო ბარსეგოვმა, — კარგი იქნება, იმ წერილს თუ გვათხოვებთ. ჩვენც წავიკითხავთ კოლექტივში. ეჭვი არ მეპარება, ბევრ რამეში გაგვარკვევს. მათ უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ და ჩვენზე უკეთ იციან, რა უნდა აკეთონ და როგორ აკეთონ.

— გათხოვებთ, წაიღეთ, — თქვა გიგაურმა. — მიშა, მოიტა, რა, წერილი.

მიშა სულხანიშვილი სწრაფად წამოხტა, მარცხენა კუთხეში მივიდა და შავად შეღებილ ხის ყუთთან დადგა, ნელა გამოაღო პატარა კარი. ვარდისფერი კონვერტი აიღო, ზედ გულდაგულ დახედა, მერე გამობრუნდა და კონვერტი გიგაურს გადასცა. გიგაურმა კონვერტიდან ორი ქათქათა ფურცელი ამოიღო და ანდროს გაუწოდა.

ბარსეგოვმა ბარათი ჩამოართვა, დახედა, მერე თავი ასწია და თავის მეგობრებს სათითაოდ გადახედა.

—იქ წავიკითხოთ, ჩვენთან, არა ბიჭებო?

— რასაკვირველია, შინ წავიკითხოთ, — მიუგო გოგი კიკნაძემ, — ახლა ამის დრო არაა.

ბარსეგოვმა ფურცლები ისევ კონვერტში ჩადო და გიგაურს გახედა.

— ეს ასე, კარგი საქმეა, მაგრამ, მითხარით, ახალი თამაშის შესახებ თუ გაიგეთ რაიმე?

— რაო, რა თამაშიო? — მხრები აიწურა გიგაურმა.

— გუშინ კომკავშირის საქალაქო უჯრედში ვიყავი. იქ მითხრეს, სპარტაკელებისათვის დიდი თამაშობა ეწყობაო. ქალაქის ყველა ბავშვთა ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობასო. თამაშს ზამთრის სასახლის აღება ჰქვია.

— ზამთრის სასახლის აღება! — დაიძახა მაგიდის ბოლოდან ვანომ. — აბა, იქ კი იქნება ძიძგილაობა, გამიშვი და გაგიშვებ.

— ჰო, ასე ჰქვია, — ღიმილით თქვა ანდრომ. — უჯრედში მითხრეს, რომ ძალიან საინტერესო თამაშიაო. ქალაქგარეთ გავალთ და იქ ჩავატარებთო. წარმოიდგინეთ, რა იქნება ამდენი ბავშვი ერთად. ჰა, რას იტყვით?

— ჩვენ წითლები უნდა ვიყოთ, — თქვა გრიშა მარდალეიშვილმა.

— მაგას უჯრედში გადაწყვეტენ. გაანაწილებენ, ვინ წითლები იქნებიან და ვინ თეთრები,—თქვა გიგაურმა. — მართლაც კარგი თამაში გამოვა. მაგრამ ადგილი უნდა შეირჩეს შესაფერისი.

— შე კაცო, ადგილის მეტი რაა. ამბობენ კრწანისში აპირებენო, — სიტყვა შეაგება კიკნაძემ.

— კრწანისი კარგია, მშვენიერი ადგილები შეიძლება შეირჩეს, — თქვა გიგაურმა.

— ახლა კი წავალთ, — წამოდგა ანდრო. — ამ წერილს კოლექტივში დავამუშავებთ თუ არა, მაშინვე და გიბრუნებთ.

— კიდევ გვესტუმრეთ., — ვანო შოთაშვილი წინ წაუძღვა სტუმრებს.

— ახლა ჯერი თქვენზეა. ნავსი უკვე გატყდა. გელით ჩვენს კლუბში. — ბარსეგოვი ერთ წუთს დაფიქრდა და გააგრძელა: — სხვათა შორის, რაიმე სერიოზული ღონისძიება რომ გექნებათ, შეგვიძლია დარბაზი დაგითმოთ. ჩვენ ამ მხრივ სხვებთან შედარებით ფუფუნებაში ვართ.

— თუ ამის აუცილებლობა იქნება, შეგაწუხებთ, — უთხრა გიგაურმა და კარი ფართოდ გააღო.

●

გამხდარი, გაწლიკვული ბიჭი ვიწრო ქუჩაში ნელა, არხეინად მიაბიჯებდა. ცალი ფეხი ძველ, ცხვირკაუჭა კალოშში გაეკრა. მეორე კიდევ—დაძენძილ ჯღანში. დაცრეცილი, ჭუჭყიანი შარვალი და ასევე უკვე კარგა ხნის უკან ვალმოხდილი ხალათი ეცვა, ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და სტვენით მიჰყვებოდა ქუჩას.

მის წინ ერთბაშად ორი ყმაწვილი აისვეტა. მაწანწალა შეჩერდა, მერე ცოტა მარჯვნივ შებრუნდა და ქურდულად უკან მიიხედა. იქიდანაც სამი ყმაწვილი ირონიული ღიმილით მოემართებოდა, იმავ დროს გვერდიდან ეზოდანაც კიდევ სამი ბიჭი გამოვიდა და ჯიქურ გასწიეს დაბნეული მაწანწალისაკენ. გაწლიკვულმა ბიჭმა ხელები ჯიბეებიდან ამოიღო, საჩვენებელი თითები პირში სწრაფად ჩაიდო და დაუსტვინა — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

— ჩანგო! — დაუძახა გოგი გიგაურმა, — სტვენა კი არა, პეტრე-პავლეს ეკლესიის დიდი ზარიც რომ ჩამორეკო, ისიც აღარ გიშველის. ხომ ხედავ, ხაფანგში ხარ გაბმული. მორჩა და გათავდა.

— იცი რა გითხრა, გიგაურო., აი, ამ ფეხს აქ რომ დავკრავ, მეორეს დაკვრა ელიაზე მომიწევს. ასე რომ, ტყუილი იმედი გაქვთ. ჩანგო ვიღაც ლაწირაკი არ გეგონოთ.

— ჩანგო, — დაუძახა ახლა გიგაურის გვერდით მდგარმა ბიჭმა, — მამაჩემს შაქრუას ტარიელი ჩემთვის უბრალოდ როდი დაურქმევია. თუ ერთი ხელი ჩაგავლე, ახლომახლო რაც ქუჩებია, ისე მოგაწმენდინო, რომ უკეთეს საქმეს მეეზოვე ჯადოც კი ვერ გააკეთებს.

— ხახვი არ დამაჭრა კისერზე, აი! — დაიძახა ჩანგომ, ღიდი წითელი ენა გადმოაგდო და ორივე ხელით ბრანწიც აჩვენა. სწორედ ამ დროს გვერდითა ეზოდან გამოსული ბიჭები მისწვდნენ და შენს ჩანგოს ხელი ქეჩოში ჩაავლეს. ჩანგო ჯერ ჰაერში აიტა, მერე ჩაბუქნა და თავი უცბად გაითავისუფლა. საოცარი სისწრაფით შებრუნდა, უკან გადახტა. ის იყო უნდა გაქცეულიყო, რომ ტარიელმა მოასწრო და სარმა გამოსდო. ჩანგო ჯერ ჰაერში გადატრიალდა, მერე ქვაფენილზე გაიშლართა. მაშინვე სამი ბიჭი ზემოდან დააცხრა და ერთი ზედახორა გაიმართა.

— ჩანგო, ტყუილად ჯიუტობ, ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ რამდენი ვართ. არაფერი აღარ გამოგივა. დაწყნარდი. შე კაცო, ციხეში ხომ არ მიგვყავხართ!.. კარგი გვინდა შენთვის გაიგე? — უთხრა გიგაურმა.

— ხელი მიშვით, ნუ მახრჩობთ. — დაიხრიალა ქვემოდან ჩანგომ და ტარიელმაც იმ წუთში ზემოდან დასძახა:

— ჩანგო, ხელს კი გაგიშვებ, მაგრამ თუ კვლავ შენებური გააკეთე, ცხვირპირს ამოგინაყავ. ისე ამოგინაყავ, რომ კაციშვილი ვეღარ გიცნობს.

— ჰო, გამიშვით, რაღა, გნებდებით, — დაიღრინა ჩანგომ და ტარიელიც შეინძრა. ზედახორა მაშინვე დაიშალა.

— ჩანგო, — თქვა გიგაურმა, — ჯერ ჩვენთან წამოხვალ შტაბში, მერე პირდაპირ კოჯრის უპატრონო ბავშვთა სახლში გაგგზავნით.

ჩანგო შეიშმუშნა, გიგაურს უნდოდ ახედა.

— იქ რა უნდა ვაკეთო, წყალი უნდა ვნაყო?

— არა, იქ დაგბანენ, წესიერ ბიჭს დაგამგვანებენ და კოხტადაც ჩაგაცმევენ. მერე სკოლაშიც დაიწყებ სიარულს.

ჩანგომ ჩამოხეული ხალათი ჩაიფერთხა. და გაიცინა.

— ჰო, დიდი ნასწავლიც მე გამოვალ, აი, მამა გიცხონდა! სულ წყლის ნაყვაა. ჯობია, მომეშვათ. მე ჩემთვის, თქვენ თქვენთვის. ჩემგან ნასწავლი კაცი ისე გამოვა, როგორც ჯიბოანთ ვირისაგან ტარხუნის გამყიდველი. ასეა და დამიჯერე.

გიგაურმა ხელი მხარზე დაადო.

— შენისთანები გამოსწორდნენ?! რამდენმა აიღო ხელი მაწანწალობაზე და ქურდბაცაცობაზე. ახლა სწავლობენ და შრომობენ კიდეც. შენი საქმეც ასე იქნება. წავიდეთ!

— სად წავიდეთ?

— აკი გითხარი, სადაც უნდა წავიდეთ. შტაბში მივდივართ.

— შტაბში არა! წითელარმიელები მყავხართ თქვენცა!

— რატომაც არა, გავიზრდებით და ჩვენც ჩამოვიკიდებთ ისეთ ხმლებს, ქუდსაც ისეთს დავიხურავთ! — თქვა ტარიელმა.

ჩანგომ ორივე ხელით მტვერი ჩამოიფერთხა. მერე გვერდზე ზიზღით გააფურთხა და ბიჭების ჯგუფს გაჰყვა. აქეთ-იქით, წინ და უკან სპარტაკელების პატრული მიჰყვებოდა.

სკვერში ჩადგმულ იმ ძველ შენობაში რომ შევიდნენ, ტარიელმა კარი გულმოდგინედ ჩარაზა და სტუმარს ირონიული ღიმილით ახედა.

— ესე იგი თქვენი ტყვე ვარ, არა? — იკითხა ჩანგომ.

— რატომ ტყვე, — უპასუხა ტარიელმა, — ჩვენც შენსავით პროლეტარების შვილები ვართ, ვალდებული ვართ გიპატრონოთ.

— პროლეტარი რაღაა?

— პროლეტარი გაჭირვებული და არაფრის მქონე კაცია, — აუხსნა გიგაურმა. — რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში პროლეტარიატი ჩაუდგა და ცდილობს თანამოძმეებს კარგი ცხოვრება შეუქმნას. გაიგე, ჩანგო?

— გავიგე! — დაიძახა ჩანგომ და დაიმანჭა.

— ვერაფერიც ვერ გაიგო, — თქვა გრიშა მარდალეიშვილმა.

— გაიგებს, — დაამშვიდა გიგაურმა, მერე ვანოს გახედა. — ბიჭო, ჩანგოს ეშიება. გვაქვს რამე კარადაში?

ვანო შოთაშვილმა კეფა მოიფხანა. მერე კარადასთან მივიდა. ნელა გამოალაგა იქიდან გამხმარი პური, ყველი და ბოლოკი. დინჯად წამოვიდა და პური ჩანგოს წინ მაგიდაზე დადო. ჩანგო არ განძრეულა. ვანომ ახლა ყველი და ბოლოკიც დააწყო მაგიდაზე.

ჩანგომ ჯერ გოგი გიგაურს გადახედა, მერე ტარიელს გაუსწორა მზერა და თავი ჩაღუნა.

— რას მორცხვობ, ჭამე, — უთხრა გიგაურმა და ხელი მხარზე წაჰკრა. — ნუ იპრანჭები.

ჩანგომ ხელა ასწია თავი, პურსა და ყველს დახედა.

— სულ ჩემია?

გიგაური წამოდგა, გრძელ სკამს გადმოაბიჯა და კუთხეში მდგარ მაგიდასთან მივიდა, მოზრდილი ალბომი აიღო ხელში და დინჯად გადაფურცლა.

— ვანო, ის ფოტოები, სამხედრო ტაძრის ეზოში რომ გადავიღეთ, არ მოუტანიათ?

— როდის გადავიღეთ? — თავის მხრივ იკითხა ვანომ.

— არ გახსოვს, „წითლობანას“ თამაშისას!

— რა ვიცი, აბა. კვირაში ორჯერ იქა ვართ და... — მერე დაფიქრდა და გააგრძელა: — ჰო, ვიცი, ეგ ფოტოები ჯერ არ მოუტანიათ.

გიგაურს ჩანგომ მხოლოდ ახლა გამოხედა. პირი ყველითა და პურით ჰქონდა გამოტენილი.

— ი ტაძარში მიტომ დაძვრებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, მთელი ქალაქის სპარტაკელები მანდ ვიკრიბებით, — მიუგო ტარიელმა. გიგაური ისევ ალბომს ათვალიერებდა.

— მღვდლები მიტომაც გამორეკეთ? რას გიშლიდნენ ეი ბერიკაცები, ისინიც ყოფილიყვნენ და თქვენცა.

ტარიელმა ჩანგოს მარჯვენა ხელი კეფაზე წამოარტყა.

— მოვიდა რა მღვდლების ქომაგი! თმაც ისე მოუშვია, ნაღდად სამღვდელოდ ემზადება.

— „წითლობანა“ რა თამაშია, არ იტყვით?

— ვიტყვით, განა საიდუმლოა, — უთხრა ტარიელმა. — აი, რა, ჩანგო. ჩვენი კოლექტივის ბიჭები და გოგოები ორ ნაწილად გავიყოფით ხოლმე — წითლებად და თეთრებად.

— წითლებად და თეთრებად, — გაიმეორა ჩანგომ, — წითლებად და თეთრებად!

— ჰოდა, წითლები ვუტევთ თეთრებს. მანამ ვუტევთ, სანამ კუდით ქვას არ ვასროლინებთ.

— მეც მათამაშებთ?

— რასაკვირველია.

სწორედ ამ დროს სულ ზედა ფანჯარაში ჩასმულ ჭუჭყიან მუყაოს გარედან რაღაც საგანი მოხვდა. მუყაო ერთბაშად მოწყდა და მოზრდილ ქვასთან ერთად გიგაურის წინ დაეცა.

ჩანგო წამოდგა. დარჩენილი პურის ნატეხი მაგიდაზე დადო.

სხვებიც წამოცვივდნენ. ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჩანგოს ჩახრინწული ხმა გაისმა:

— ჩემი ბიჭები არიან, დაბომბვა იწყება! — დაიხარა და ქვა აიღო, ღიმილით დახედა, — გოშიას ნასროლია. იმას აქვს დაწყევლილი ხელი. თუ მოინდომა, ამოდენა ქვას თქვენს შტაბსაც კი გადაავლებს ზემოდან.

ამასობაში ქუჩიდან წამოსულმა მეორე ელჩმაც დაუბრკოლებლად მიაღწია შტაბის ფანჯრამდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ქვა ჩარჩოში შეჩურთულ ნაცრისფერ ბალიშს მოხვდა და მასთან ერთად იატაკზე სწორედ ბიჭების წინ დაენარცხა.

— გააღე კარი! — უთხრა გიგაურმა ტარიელს.

ტარიელი მაშინვე კარს ეცა და ურდული ახსნა.

ის იყო ბიჭები გარეთ უნდა გაცვენილიყვნენ, რომ ჩანგომ შეჰყვირა:

— მოიცათ, გასვლა არავინ გაბედოს, მე მივხედავ, — ხელები გაშალა და მოხორავებული სპარტაკელები შეაჩერა, მერე კარი გააღო, ზღურბლზე არხეინად დადგა, დინჯად გაიხედ-გამოიხედა და ხმამაღლა დასჭყივლა:

— ეი, შენ, გოშია, ჩინარს რომ ეფარები, გხედავ, შენა ხარ, რაღა... გამოდი, ჩანგო ვარ.

მაშინვე ჩინარს ჩანგოსავით ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი ყმაწვილი მოშორდა, ხელში ქვა ეჭირა. ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა და ჩანგოს ეჭვით გამოხედა.

— შენა ხარ, ატამანო? ვიფიქრეთ, ჩანგო ძალით წაიყვანეს-მეთქი და აი, ჩვენც აქა ვართ.

გოშიას გვერდით კიდევ ოთხი სხვაც ამოუდგა. ყველანი ძონძებში იყვნენ გამოხვეული. ცივი, ეჭვიანი თვალებით მისჩერებოდნენ სპარტაკელებს.

გოგი გიგაურმა ჩანგოს ხელი მოხვია.

— ბიჭებო, ჩანგო ჩვენი მეგობარია, თქვენც ჩვენი მეგობრები უნდა გახდეთ.

გოშიამ კიდევ გადმოდგა ერთი ნაბიჯი წინ, მერე სკვერის მიმართულებით გააფურთხა.

— რაო, რაო? როდის მერე გახდა ჩვენი ატამანი თქვენი ძმაკაცი? რაღაც არა გვჯერა. ჩანგო და თქვენი მეგობარი?! აი, სეირი.

— დიახ, ჩვენი მეგობარია, — დაიძახა ახლა ვანო შოთაშვილმა და ჩანგოს მეორე მხრიდან ამოუდგა.

გოშია შეიშმუშნა, ორივე ხელი ჩამოჩაჩული შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო, სათავე ცოტა ზევით აქაჩა.

— მაშ თქვენი მეგობარია, არა? თვითონ რატომ არაფერს იტყვის? პირი წყლითა აქვს სავსე?

— გეყოფა ყბედობა. გააგდეთ ხელიდან ეგ ქვები და აქ მოდით. აქ ძალიან კარგია. ბიჭებიც არ ყოფილან ურიგო, — დაუძახა ჩანგომ.

— ერიჰა, ერთი ამას დამიხედეთ. ასეთი რა ჯადო გაგიკეთეს, ატამანო! გუშინ არ იყო, გინებით რომ იკლებდი მაგ მუტრუკებს? — დაიძახა გოშიამ.

— ის გუშინ იყო, დღეს კი, ხომ ხედავ, აქა ვარ, გირჩევთ, თქვენც ჭკუა იხმაროთ და აქეთ წამოხვიდეთ.

ჩანგოს ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ იმ ხუთეულს ერთი ბიჭი მოშორდა. ქვა იქვე, სკვერის წინ დააგდო, მერე ორივე ხელი გაცრეცილი კიტელის ჯიბეებში ჩაიწყო და სკვერის მეორე მხარეს შტაბის წინ მდგომი ბიჭებისაკენ წამოვიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, კიტელის საყელოში გოშია სწვდა.

— შენ, ეი, გიჟუა, აბა, ერთი ისა ბრძანე, საით გაგიწევია?

გიჟუამ მხარი მაგრად გაიქნია და გოშიას თვალები დაუბრიალა.

— სადაც ატამანია, მეც იქა, გაიგე? ქვასროლია!

გოშიას ხელი მოიშორა და დინჯად წამოვიდა. ცოტა კიდევ და ის ხუთ ბიჭიც დაიძრა, მის გვერდით რომ იდგნენ.

— შენ რაღას უდგახარ, გოშია! წამო, რაღა, — დაუძახა ჩანგომ. მაგრამ გოშიას ყურიც არ გაუპარტყუნებია, ქვა სკვერში მოისროლა, შებრუნდა და ვიწრო ქუჩას გაუყვა.

ის ოთხი ბიჭი კი ჯიქურ მოდიოდა. ახლოს რომ მოვიდნენ, შეჩერდნენ. უნდო თვალებით გახედეს მასპინძლებს. გიგაური წინ წამოდგა.

— მოდით, ბიჭებო, ნუ გეშინიათ! აი ჩვენი შტაბიც, შემოდით, ნახეთ რას ვაკეთებთ.

— არავისაც არ გვეშინია, — თქვა გიჟუამ და თავისიანებს წინ გაუძღვა. ზღურბლს სტუმარ-მასპინძელმა ერთად გადააბიჯეს. შიგ შევიდნენ თუ არა, გიჟუამ ვანო შოთაშვილს გახედა.

— ეს არის თქვენი შტაბი? რას აკეთებთ ხოლმე აქა?

— ჯერ დაჯექით, დაისვენეთ, საქ-

მეზე მერე ვისაუბროთ, — თქვა გიგაურმა, თვითონ პირველი დაჯდა გრძელ მაგიდასთან და ხმელი პურის ნატეხი, მის წინ რომ იდო, გვერდზე გააჩოჩა, — ბიჭო, გრიშა, პური მეტი აღარა გვაქვს? ხომ ხედავ, ერთი საქორწილო ხალხი მოგვივიდა სტუმრად.

გრიშა მარდალეიშვილმა ხელები გაშალა.

— მეტი აღარაა, მორჩა, აღარც პურია, აღარც ყველი და ბოლოკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშა სულხანიშვილი წამოდგა. გიგაურმა გვერდულად გახედა.

— რა იყო, მიშა?

— შინ გადავირბენ. რამე საჭმელი იქნებ მოვნახო. აბა ამ ხალხს მშიერს ხომ არ მოვკლავთ! სანამ ესენი კოჯორში ავლენ, გზაზე სული ამოხდებათ.

გიგაურს არაფერი უთქვამს. სულხანიშვილი კარისაკენ წავიდა. ზღურბლთან შემობრუნდა, მაგიდასთან მსხდომთ კეთილი თვალები შეანათა, გაიღიმა და ხმადაბლა თქვა:

— ბიჭებო, ახლავე მოვალ, სულ რამდენიმე წუთში, აქვე ვცხოვრობ.

სულხანიშვილი წავიდა. გიგაურმა ორივე ხელი მაგიდაზე გაშალა. ჩანგოს გახედა.

— მაშ ასე. ეს არის სპარტაკელთა ჩვენი ორგანიზაციის საბუდარი. საქალაქო რაიონის სპარტაკელები აქ ვიკრიბებით. ყველა საჭირბოროტო საკითხზე აქ ვმსჯელობთ. სარდაფიც ჩვენია, თამაშს და ზოგიერთ ღონისძიებას აქ ვატარებთ. შენობა შესაკეთებელია, მაგრამ ჯერჯერობით ეს ხელს არ გვიშლის. აი, იქ გუშინ კედლის გაზეთის ახალი ნომერი გავაკარით. მოდით, ნახეთ.

ჩანგომ ხელი ჩაიქნია.

— აბა, რა უნდა ვნახოთ, კითხვა ჩვენ არ ვიცით და წერა!

ვანო შოთაშვილმა ჩაახველა, გიჟუას გადახედა. მის გვერდით სწორედ გიჟუა იჯდა.

— აი, თავიდანვე რომ დაგეჯერებინათ ჩვენთვის და გამოგვყოლოდით, ახლა კითხვაც გეცოდინებოდათ და წერაც, — თქვა გიგაურმა.

— რა, თქვენ ყველანი კიდეც წერთ და კიდეც კითხულობთ? — იკითხა გიჟუამ.

— მაშ როგორ! ჩვენ ყველანი ვსწავლობთ. ორგანიზაცია კი ქარხანასთან არის შექმნილი. მუშაობაში ქარხნის მუშები გვეხმარებიან. ხშირად მოდიან. ჩვენც მივდივართ მათთან და ასე ვცხოვრობთ.

გიჟუამ კიტელის სახელოთი ცხვირი მოიწმინდა და ცოცხალი, ცნობისმოყვარე თვალები ვანოს შეანათა.

— თამაშობთ კიდეც?

— ძალიან ხშირად, ხან ომობანას, ხან ბურთს და ათას რამეს.

— მაშ, თქვენთან კარგი ყოფილა...

ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და მიშა სულხანიშვილი გამოჩნდა. ჯერ ხოტორა თავი შემოჰყო, მერე მოზრდილი კალათიც გამოაჩინა და ზღურბლსაც გადმოაბიჯა.

— შენა, წკნელავ, მინდიაანთ ბიჭო, მანდ რომ ჩასობილხარ ჟანგიანი ლურსმანივით, წამოდექ და მომეხმარე. ხომ ხედავთ, რამოდენა ძღვენს მოვათრევ. გაიგე, პეტრიავ? — დაიძახა მიშამ..

პეტრე მინდიაშვილი მაშინვე ფეხზე წამოდგა, მაგრამ ყველას მაინც ჩანგომ დაასწრო და ის მისწვდა კალათს. სულხანიშვილმა იუარა.

— არა, ჩანგო, წესი არ არის, შენ სტუმარი ხარ.

ეს იწილო-ბიწილო დიდხანს აღარ გაგრძელებულა. კალათი გრძელ მაგიდაზე გადმოახორავეს. შავი ფქვილისაგან გამომცხვარი შოთი პურები იყო და კიდევ ცოტაოდენი ყველი. მიშა სულხანიშვილმა სტუმრებს გახედა.

— ჭამეთ, ბიჭებო, დედაჩემის გამომცხვარია. ნუ მოგერიდებათ.

ჯერ გიჟუამ დაითრია პურის მოზრდილი ნატეხი, მერე სხვებმაც მიბაძეს, ცოტა მორიდებით, მაგრამ მალე ეს მორიდების გრძნობა გაქრა... სტუმრებიცა და მასპინძლებიც გემრიელად ილუკმებოდნენ. ცოტა რომ შენაყრდნენ, კარი ისევ გაიღო, ზღურბლზე გოშია იდგა. თმა ჯაგარივით აბურძგვნოდა. დიდი ხნის დაუბანელი სახე გამურული ჰქონდა. იყურებოდა დიდრონი, ნაღვლიანი თვალებით და ხმას არ იღებდა.

— შემოდი, გოშია. შემოდი! — დაუძახა გიგაურმა.

გოშიამ სახეზე ჭუჭყიანი ხელი მოისვა და თვალი ხარბად შეავლო მაგიდაზე მიმოფანტულ პურის ნატეხებს.

— შემოდი, ბიჭო, სიდედრიც გყოლია და სიმამრიც! — ახლა მიშა სულხანიშვილმა გასძახა, მაგრამ გოშია არ იძროდა, მონუსხულივით იდგა და თვალს არ აშორებდა გრძელ მაგიდას.

— შემოდი, რას უდგახარ? — დაუძახა ჩანგომ.

გოშია შეიშმუშნა.

— მანდ რა უნდა გავაკეთო? — იკითხა გაუბედავად.

— რა უნდა გააკეთო, ხომ ხედავ, ჯერ პურსა და ყველს მივირთმევთ. მერე კიდევ რამეს მოვიფიქრებთ, — დაუძახა ისევ ჩანგომ.

გოშია ზღურბლზე გადმოვიდა. ჩანგომ სკამი გვერდზე გააჩოჩა.

— მოდი, აქ ჩაჯექი, ჩემს გვერდით.

— მერე რა უნდა გავაკეთო? — კვლავ ჯიუტად იმეორებდა გოშია.

— რა უნდა გააკეთო და ყბები გაანძრიე. ორი დღეა მაგ გაუმაძღარ კუჭში ლუკმაც კი არ ჩაგსვლია, — დაუყვირა ჩანგომ.

— მერე რა, ერთი კვირა რომ არ ვჭამო, მაინც გავძლებ. შენც ხომ იცი? — ჩაიბურდღუნა გოშიამ და ჩანგოს გვერდით მაინც დაჯდა. დაჯდა და მაშინვე პურის ყუას დაავლო ხელი. ყველის ნატეხიც აიღო და საქმეს შეუდგა. სიჩუმე ჩამოვარდა, სალაპარაკოდ აღარავის ეცალა. ბოლოს, როცა მაგიდა პირწმინდად მოასუფთავეს, გიგაურმა ჯერ ჩანგოს, მერე სხვა სტუმრებსაც გადახედა და თქვა:

— ბიჭებო, თქვენთვის — უპატრონო ბავშვებისათვის კოჯორში სპეციალური სახლი გაიხსნა.

— ვიცით, — სიტყვა შეაჭრა ჩანგომ, — ვიცით, რა დღეშიც არიან იქ ბიჭები. დიდი სახრით სცემენ და სამპირ ტყავს აძრობენ.

— არაფერიც. არავინ არ სცემს. ეგ ხმა ხალხის მტრების გავრცელებულია. უნდათ უწესრიგობა გამოიწვიონ ქვეყანაში და ათასნაირ ჭორს ჩმახავენ. აბა ვის მოუბრუნდება ხელი, რომ ისედაც დაჩაგრულ კაცს სცემოს. არა, ეგ ცილისწამებაა. მე თვითონ რამდენჯერ ვიყავი კოჯორში. ვინ მოთვლის, რამდენი უპატრონო ბავშვი აგვიყვანია იქ. შესანიშნავად არიან, სუფთად აცვიათ, კოხტად. კარგადაც აჭმევენ. ასწავლიან. მშვენიერ ოთახებში სძინავთ.

გოშიამ ჩაიცინა.

— მერე თავში კეტს ურტყამენ.

— აკი გითხარით, — გიგაურს ხმაში ბრაზი გაერია, — არავინაც არ სცემს-მეთქი. აგიყვანთ იქ, ნახეთ და, თუ არ მოგეწონებათ, გაიქეცით. თქვენი ამბავი რომ ვიცი, ეს არ გაგიჭირდებათ. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, იქაურობას რომ გაიცნობთ, არც ერთი თქვენგანი გაქცევაზე აღარ იფიქრებს.

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი
ნათელა ფაილოძე

ეს ნინ ბანაკია

ზაფხული! წარმოიდგენ ივნის-ივლის-აგვისტოს დღეებს და ვინ იცის, სად არ გაგიტაცებს ოცნება. ალპინისტებთან ერთად მთებს იპყრობ; აი, ზღვებსა და ოკეანეებს სერავ; აი, პიონერთა ბანაკში ხარ ან სოფელში, ბებიასთან...

შემდეგ კი... შემდეგ უეცრად იღებ გადაწყვეტილებას: პიონერთა ბანაკში წავალ!

უკვე ხელთა გაქვს პიონერთა ბანაკის საგზური, თავში კი —ოცნებათა კორიანტელი.

ახლოვდება გამგზავრების დღე, ღელავ! გახსენდება რაზმეულის საბჭოს დავალება, სკოლის კომკავშირის კომიტეტის რჩევა: პიონერულ აქტივისტს ბანაკშიც არ უნდა დაავიწყდეს თავისი მოვალეობა, უნდა იჩენდეს თაოსნობას, ეხმარებოდეს ბანაკის აქტივს და თვითონაც აქტიურობდეს საბანაკო ცხოვრებაში.

ბანაკში დიდი და პატარა საქმე არ არსებობს; ყველაფური მთავარია და უნდა შეასრულო.

სანამ ბანაკში გამგზავრებულხარ, სამ საიდუმლოს გაგანდობთ; გაითვალისწინე:

პირველი, — თუ დაიბენი, ყველაფერი ხუმრობაში გაატარე, თქვი, შემეშალა-თქო;

მეორე, — თუ შეგეშინდა, არ შეიმჩნიო;

მესამე, — გახსოვდეს, ბანაკში ჩასული ბავშვი ყველა კარგია, მათთან არ გაგიჭირდება. ეს მთავარია!

არ დაგავიწყდეს: ბანაკში თან წაიღე პიონერული და სპორტული ფორმები, კედები, უბის წიგნაკი, ნემსი და ძაფი, წიგნები, სქელი რვეული, რომლის შევსება უკვე კარგა ხანია დაიწყე, უფრო ზუსტად, იმ დღიდან, როცა ბანაკში შენი წასვლა გადაწყდა. შიგ ხომ ყველა შენი გენიალური იდეა, ეშმაკური შეკითხვები, მხიარული სიმღერები, საინტერესო თამაშობები, ამოცანები, ხუმრობები, გამოცანები, შაირები გაქვს ჩანიშნული; ეს რვეული ძალიან გამოგადგება. კიდევ დაგჭირდება კომპასი, წამმზომი, წებო, სალაშქრო ზურგჩანთა, ფერადი ფანქრები, სახატავი რვეულები, საღებავები. ფუნჯები, ლურსმნები, პატარა ჩაქუჩი და კიდევ რაიმე მაგიდის სათამაშო. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, შენი ბანაკის საწყობშიც იქნება, მაგრამ, დაგვერწმუნე, არც ეს აღმოჩნდება ზედმეტი.

მაინც რა არის ბანაკი?

— რასაკვირველია, დასვენება, არა?

მაგრამ მაშინ ხომ ბანაკი იგივე იქნებოდა, რაც ბავშვთა დასასვენებელი სახლი! არა, პიონერთა ბანაკში

— ვითომ? — ირონიულად ჩაიცინა გოშიამ და ჩანგოს გადახედა. — ხედავ, ჩანგო, სამოთხეში გვისტუმრებენ თურმე.

ჩანგომაც ღიმილი შეაგება და თვალი ჩაუკრა. მერე გიგაურს მხარზე ხელი დაჰკრა.

— კოჯორში რით გვიპირებთ გაგზავნას, ავტომობილით წავალთ თუ დროგით?

— ჩვენ არც ავტომობილი გვყავს და არც დროგი. ფეხით მოგვიწევს სიარული.

— გზაში რომ გავიქცეთ?

— თქვენი ნებაა. თუ გაქცევა გაქვთ გადაწყვეტილი, შეგიძლიათ პირდაპირ აქედან წახვიდეთ თქვენს საქათმეში. არავინაც არ გამოგეკიდებათ. ხომ გითხარით, ჩვენ თქვენთვის კარგი გვინდა და ამიტომაც მოგიყვანეთ აქ.

— ჯანი გავარდეს, მივდივართ კოჯორში! — დაიყვირა ჩანგომ და მაგიდაზე ხელი დაჰკრა.

მინაწერი:

გიორგი გიგაურის გახსენება

წლებმა თავისი გაიყოლიეს. ბევრი ჩემი იმდროინდელი მეგობარი, რომლებთან ერთადაც ჩვენ პირველ პიონერულ კოლექტივებს ვქმნიდით, უკვე ცოცხალი აღარაა. დღესაც სიყვარულით ვიგონებ მათ. ჯერ კიდევ ომის წინ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, რასაკვირველია, იარაღი ავისხით და სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წავედით. დამთავრდა ომი და ცოცხლად გადარჩენილებმა კვლავ მშობლიურ ადგილებს მივაშურეთ.

მე ოფიცრის ჩინით დავბრუნდი, პოდპოლკოვნიკის ხარისხით. მუშაობა მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოში დავიწყე, საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში. ერთ დღეს თბილისის ერთერთ დიდ საწარმოში გამოვცხადდი. რაღაც-რაღაცები უნდა დამეზუსტებინა უშუალოდ დირექტორთან. წინასწარ ვიცოდი, რომ საწარმო მოწინავე იყო ქალაქში და მისი ხელმძღვანელი — მეტად უნარიანი და ენერგიული კაცი. პირადად კი არასოდეს შევხვედროდი ამ კაცს.

და აი დირექტორის კოპწიად მოწყობილ კაბინეტში ვარ. მე აქეთ ვზივარ მისადგმელ მაგიდასთან, დირექტორი იქით, თავის ტრადიციულ ადგილას. საქმეზე რომ ვილაპარაკეთ, დირექტორმა ერთხანს დაყინებით მიყურა, ჩაფიქრდა, და მერე მოულოდნელად მკითხა:

— მეგობარო გიორგი, ერთი ეს მითხარით, თქვენ პიონერთა პირველ კოლექტივს ხომ არ ხელმძღვანელობდით საქალაქო რაიონში?

— დიახ, შტაბი დღევანდელი ენგელსის ქუჩის მიდამოებში გვქონდა.

— სწორია, — დაიძახა დირექტორმა და მაგიდას მუჭი დაჰკრა.

— ერთი ეს მითხარით, გიგაურო. ჩანგო თუ გახსოვთ? აი, მაწანწალა ჩანგო, ღამეს საქათმეში რომ ათევდა?

— როგორ არ მახსოვს. გუშინდელ დღესავით მაგონდება, როგორ გამოვიყვანეთ საქათმიდან და მერე მის მეგობრებთან ერთად კოჯრის ბავშვთა სახლს ჩავაბარეთ.

— ჰოდა, ჩემო გოგი, ის ჩანგო მე ვარ, დავით არსენიშვილი. აბა, კარგად შემომხედე. განა აღარ ვგავარ იმ საცოდავ ბიჭუნას?

დირექტორი წამოდგა. მეც წამოვდექი, ვიგრძენი თუ როგორ შემომეწყო მხრებზე არსენიშვილის მძლავრი ხელები.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებმა აუცილებლად პიონერული კოლექტივების წესებით უნდა იცხოვრონ.

რა უნდა იყოს დამახასიათებელი ბანაკში დასასვენებლად ჩამოსული ბავშვებისათვის?

დამოუკიდებლობა. — მათ აქ ხელჩაკიდებულებს არავინ ატარებს, თვითონ უნდა აკეთონ ყველაფერი, თვითონ ორგანიზებულად უნდა წარმართონ პიონერთა ცხოვრება.

კოლექტივიზმი. — ყველას საერთო ინტერესი უნდა ჰქონდეს, ყველას უნდა სწყინდებოდეს უერთმანეთოდ.

თაოსნობა. — არ უნდა ელოდებოდნენ უფროსების კარნახს, თვითონ უნდა ხვდებოდნენ, რა არის გასაკეთებელი.

პიონერთა ბანაკი მის ირგვლივ მჩქეფარე ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ შენ უნდა იცოდე, რით ცხოვრობს შენი ქვეყანა, რესპუბლიკა, ის სოფელი, თუ ადგილი, სადაც შენი ბანაკია განლაგებული.

პიონერები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ უფროსების შრომით საქმიანობაში. ბანაკი მეორე სკოლაა.

ბანაკში ყოფნის პირველი ორი დღე გაცნობის პერიოდი, რაზმებად დაკომპლექტების, პიონერული აქტივის არჩევის დროა. შენი ბანაკის რაზმეულში უნდა გამოაჩინო შენი გამოცდილება და საქმის ცოდნა.

პირველ ყოვლისა, ეცადე ყველაფერი გააკეთო, რომ შენი რაზმი მთელ ბანაკში საუკეთესო იყოს. ამისათვის პირველ რიგში თვითონ შენ განუხრელად შეასრულე ბანაკის დღის რეჟიმი, იყავი ყველა კარგი საქმის თაოსანი, დაუზარელი ლაშქრობაშიც და ბანაკის მეზობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობისა თუ კოლმეურნეობის მინდვრებზე მუშაობაშიც. არ დაიზარო დილაადრიან საყვირის ხმაზე ადგომა, დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შესრულება, საუზმისა და პიონერული ხაზის შემდეგ აქტიურად ჩაერიე საბანაკო ცხოვრებაში, შეჯიბრებებსა თუ თვითმოქმედებაში. დაიცავი წყნარი საათი. შენს რაზმთან ერთად და უყოყმანოდ შეასრულე მორიგეობა, იოცნებე, იმოგზაურე ბანაკის მახლობელ ტყესა თუ მის მიდამოებში; კუნთების ძალა მოისინჯე სპორტულ მოედანზე, ისწავლე მინდვრის ყვავილებში სამკურნალო მცენარეების გამოცნობა, ლამაზი ყვავილებისაგან გვირგვინების დაწვნა, გადი სათიბში, ანკესით ხელში რაზმთან ერთად უთენია გასწიე სათევზაოდ, მაღლა მთაზე შეხვდი მზის ამოსვლას, საჩუქარი მოუმზადე მშობლიურ სკოლას, ისწავლე ახალი სიმღერები; მომამზადე წერილები ბანაკის კედლის გაზეთებისათვის, აქტიური მონაწილეობა მიიღე რადიოგადაცემის მომზადებაში; ჩაეწერე „ცისკრის“ რაზმში, ეცადე შენი რაზმით გამოირჩე სამხედრო-სპორტულ თამაშებში, სამწყობრო სიმღერების დათვალიერებაში.

არ დაგავიწყდეს შენი თანარაზმელის დაბადების დღის აღნიშვნა, მაშინაც კი, ეს დღე თუ ბანაკის დღეებს არ ემთხვევა. ბანაკში შეძენილ მეგობრებთან შემდეგაც ნუ შეწყვეტ ურთიერთობას.

ზაფხულის ბოლოს ბარათი გამოგვიგზავნე: გაგვიზიარე ბანაკში მიღებული შთაბეჭდილება, რა მოგეწონა, რა არა; მოგვაწოდე რაიმე კონკრეტული წინადადებები, რომ მომავალ ზაფხულს ბანაკში უფრო საინტერესოდ აეწყოს პიონერული დასვენება, აქტივის შრომა; მოგვწერე, რით დაგამახსოვრდა 1981 წლის ზაფხული. გახსოვდეს, კლუბი „კოცონი“ შენს ბარათს ელის.

ბოროტებული სიფრთხილე

იმის გამო, რომ საუდის არაბეთში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ავტომანქანებია, ისინი ქვეყნად მოსიარულეებისათვის სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენენ. ამიტომ ავტომობილის მართვის უფლების მიღება აქ მეტისმეტად გაიოლებულია. საჭიროა მხოლოდ სწორ გზაზე ას მეტრზე წაიყვანო, და შემდეგ უკანა სვლით ადგილზე დაბრუნო მანქანა; წარადგინო თვალის ექიმის ცნობა, რომ არა გჭირს დალტონიზმი, ე. ი. შეგიძლია ფერების გარჩევა, და... გამოხვიდე დონორის როლში — ადგილობრივ საავადმყოფოს ჩააბარო ნახევარი ლიტრი სისხლი. ეს იმ შემთხვევისათვის კეთდება, რომ, როცა უკვე მძღოლი იქნები, შესაძლოა ავარიაში მოყვე და შენთვის სისხლის გადასხმა გახდეს საჭირო.

ყაჩაღი სპილოები

ზამბიის ქალაქ კალომოს შემოგარენი ადგილობრივმა ხელისუფლებმა უბედურების რაიონად გამოაცხადეს. ეროვნულ პარკ კაფუეში მობინადრე გარეული სპილოების ჯოგმა ოკუპაცია გაუკეთა კალომოს მახლობლად მდებარე დამუშავებულ მიწებს. პარკის მუშებისა და პოლიციის ნაწილების ყველა ცდა, ალყა შემოერტყათ სპილოებისათვის და ნაკრძალში დაებრუნებინათ ისინი, ჩაიფუშა. ჯოგი გამოყოფს მოთვალთვალეებს, რომლებიც კონტროლს უწევენ რაიონის შორეულ მისადგომებს. დაინახავენ თუ არა მოწინააღმდეგეს, ისინი ხმამაღალი ღრიალით საგანგაშო სიგნალს იძლევიან და სპილოებიც სწრაფად ტოვებენ ალყაში მოქცეულ რაიონს.



მსოფლიოში ერთადერთი

ვინ მოთვლის, რამდენნაირი ბაზარია მსოფლიოში, მაგრამ მათ შორის არის ერთადერთი და განუმეორებელი — „ხოჭოების ბაზარი“ ტოკიოში. იაპონიის ყველა კუთხიდან მიეშურებიან ამ ბაზრისკენ მოყვარული ენტომოლოგები თავიანთი კოლექციისათვის ეგზოტიკური, ზღვისიქითური ეგზემპლარების შესაძენად. შედარებით იშვიათი სახის ხოჭოები საჯარო ვაჭრობით იყიდება და ასი ათას იენზე მეტი ღირს. ყველაზე გახურებული ვაჭრობა სასწავლო წლის დაწყების წინ ჩაღდება, როცა ათასობით მოსწავლე შეესევა ხოლმე ბაზარს. საქმე ის არის, რომ მოსწავლეები ვალდებული არიან არდადეგების დროს მწერების კოლექცია შეაგროვონ. ჰოდა, ბევრი მათგანისათვის, განსაკუთრებით ქალაქში დარჩენილთათვის ერთადერთი გამოსავალია მათი შეძენა „ხოჭოების ბაზარზე“, მით უმეტეს, რომ აქ იყიდება სხვა მწერებიც: ფარვანები, მუხლუხოები, პეპლები.

ᲬᲘᲗᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲖᲝᲕᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲪᲮᲔᲜᲘ

ბორის ალმაზოვის წიგნის მთავარი გმირია მეექვსეკლასელი იგორ პონომარიოვი. იგი მოუქნელი, ტლანქი ბიჭია, გაკვეთილებზე ხშირად აგვიანებს, მასწავლებელს ყურს არ უგდებს, სულ სხვა რამეზე ფიქრობს. თანაკლასელები ბოთეს ეძახიან, შემდეგ კი პანამას შეარქმევენ.

ერთხელ იგორმა ქუჩაში ცხენი დაინახა, ნამდვილი, ცოცხალი ცხენი. ამ სანახაობამ ისე მიიზიდა, რომ სკოლა სულ დააავიწყდა. პატარა ბიჭუნას თავზე დაადგა ლიტერატურის მასწავლებელი ბორის სტეპანოვიჩი. მან შეამჩნია იგორის ცნობისმოყვარეობა და აღელვება, და შესთავაზა ბიჭს მასთან ერთად მანეჟში წასვლა.

რაც იქ პანამამ ნახა, იმდენად საინტერესო და მომხიბლავი აღმოჩნდა, რომ მისთვის სავსებით სხვა ცხოვრება დაიწყო. ყოველ საღამოს მიიჩქაროდა იგი საყვარელი ცხენებისაკენ.

მოხდა საოცარი რამ: იგორს ახალი საქმე გამოუჩნდა, მაგრამ სკოლაში აღარ იგვიანებდა, სწავლაშიც გამოსწორდა. ფიზიკურად სუსტი ბიჭუნა გაკაუდა.

თუ რა მოხდა შემდეგ, რა ბედი ეწიათ იგორს, ბორის სტეპანოვიჩსა და სხვებს, თქვენ გაიგებთ, როცა ბოლომდე წაიკითხავთ წიგნს.

ბ. ალმაზოვის წიგნი დასტამბა გამომცემლობა „ნაკადულმა“, თარგმნა ვალერიან სულაკაურმა.

რევაზ ინანიშვილი

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ

ცნობილი მწერლის რევაზ ინანიშვილის წიგნი „კეთილი მიწა“ გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა.

წიგნში შესული მოთხრობები გაერთიანებულია ერთი სულით, ერთი სითბოთი, მშობლიური მიწის სიყვარულით.

საქართველოს ტანჯული წარსული, მამულიშვილთა ვაჟკაცობა... დედები და ბავშვები ეკლესიებსა და ციხე-სიმაგრეებს აფარებენ თავს... რამდენი სიცოცხლე იმსხვერპლა გაუთავებელმა ომებმა...

პატარა გოგონა მიყვება ძველი სასაფლაოს აღმართს. გული სტკივა, როცა ათვალიერებს საფლავის ქვებს — რამდენი პატარა გოგო-ბიჭი წევს მათ ქვეშ. ზევით ეკლესიაა, გაპარტახებული, მოუვლელი. გოგონას ადარდებს დანგრეული გალავანი...



სიკეთესა და სიყვარულს, სამშობლოს დიადი წარსულის პატივისცემას და ბედნიერი მომავლის რწმენას უნერგავს ავტორი თავის მკითხველს.

ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲔᲑᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეებისადმი . . . . . გარეკ.	2
სირაძე ვ. — წინსვლის წლები (წერილი)	1
შინკუბა ბ. — მარად მხარდამხარ (წერილი)	4
თარბა ი. — უანგარო მეგობრობა (წერილი)	5
გურგულია ბ. — მთაწმინდა (ლექსი)	5
საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს	6
საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა პიონერისადმი	7
ტაკიძე ა. — ჩემო პატარა მეგობარო (წერილი)	8
ხალვაში ფ. — მადლი ძმობისა (წერილი)	8
როყვა შ. — ვადიდებ უძლეველ კავშირს (ლექსი)	9
ბალაძე დ. — ახალ აჭარას აშენებს მეგობრობის ძალა (წერილი)	9
საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა ფიცი .	10
რუსაიძე გ. — კომუნისტებს ვუსწორებთ მხარს (ნარკვევი) .	10
გაგლოევი ნ. — როცა იმ წლებს ვიგონებ (წერილი) . . .	12
ჟოზათი ი. — ჩემი ხმაც ერთვის (ლექსი)	12
მარღიევი კ. — ხალხთა მეგობრობა ლიტერატურათა მეგობრობაა (წერილი)	13
აფხაზავა ნ. — სხვისი საქმე (მოთხრობა. დასასრული) . .	15
ჩხეტიანი ვ. — იმ გატაცებით (ლექსი)	20
ბახტაძე ბ. — ლენინის საჩუქარი (წერილი)	21
ანსი	22
ჩაჩანიძე რ. — იზარდე, მწვანე ჯეჯილო! (მოთხრობა) . .	24
კოცონი	30
ჯადოსნური სარკე	31
ახალი წიგნები	32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ.	3
უცხოური იუმორი	3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ ფვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის—93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27/III-81, ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-81, ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომმცემლო თაბახი 5,35. შეკვ. 260, ტირ. 157 200. ეგზ. უე 08402.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии Издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 5. ქართული ძილისპირული; 7. ქართველი მსახიობი ქალი; 8. საბალეტო ცეკვისას მსუბუქი შეხტომა, რომლის დროსაც მოცეკვავის ფეხები რამდენჯერმე სწრაფად ეხება ერთმანეთს; 9. პლანეტა; 11. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 13. ქართული ხალხური სიმღერა; 16. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ გადმოცემულია მოქმედ პირთა შემდგომი ბედი; 17. ლ. ტოლსტოის რომანი; 19. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 21. მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ; 23. თივის ან ნამჯის გროვა; 25. განიერი კაბა (ქვედატანი), რომელსაც შიგ დატანებული ჰქონდა ფოლადის მავთულები; 26. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 27. მწვერვალი აზიაში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 2. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი; 3. ტბა კანადაში; 4. მდინარე სსრკ-ის ჩრდილოეთ ნაწილში; 6. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში; 10. ქიმიური ელემენტი; 12. უმაღლესი შედეგი სპორტულ შეჯიბრებაში; 14. სპორტული თამაში— ფეხბურთის ნაირსახეობა; 15. ხილი; 18. ქართული ჟურნალი; 19. კუროორტი გაგრის რაიონში; 20. საზოგადოების პრივილეგიური ფენის წარმომადგენელი ადრინდელ საქართველოში; 22. ა. წერეთლის ერთ-ერთი პოემის პერსონაჟი; 24. ჩანჩქერი ამერიკაში.

ნანა ᲬᲣᲚᲐᲘᲐ,
თბილისის 159-ე
საშუალო სკოლა.

ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

●

მაშინ ამოდის, როდესაც
თოვლი დამდნარი არც არი,
იმ ყვავილიდან აიღე
მხოლოდ პირველი მარცვალი.
გვინდა საშენი მასალაც,
ფერად წითელი რომ არი,
ოღონდაც შარადისათვის
აკლდება წინა ხმოვანი.
თუ შეაერთებ ორივეს,
მოსკდება შმაგი მდინარე,
რომელსაც მოსდეს ლაგამი,
ჩირაღდნად ააბრიალეს.

●

პირველ ნაწილად სპორტული
სირბილის სახელს ველი, —
შუა თანხმოვნის მოკლება
სულაც არ არის ძნელი.
მერე შეგირდის მეორე
სახელწოდებას მეტყვი,
თუმცა როდია საჭირო
საწყისი მარცვლის მეტი;
ის ზემო სიტყვის კიდური
ხმოვნის წინ უნდა ჩართო —
გახლავს ციური სამყარო,
განუსაზღვრალად ფართო.

Ш. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ

●

პატარა მარენკა სასეირნოდ იყო გარეთ. უცებ დედამისმა დაინახა, რომ მარენკა ძროხასთან მისულა და შოკოლადს აჭმევს.

— რას აკეთებ? — გაუჯავრდა დედა შვილს.

— არაფერს, დედიკო, ძროხას შოკოლადს ვაჭმევ, ხვალ რომ კაკაო მოიწველოს...

●

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲨᲘ:

— ბავშვებო, რა არის უსასრულობა?

— სამყარო და სასწავლო წელი, პატივცემულო მასწავლებელო, — იყო ერთ-ერთი მოწაფის პასუხი.

●

— ნუთუ ასე სუსტად გასწავლით საგანს მასწავლებელი?

— პირიქით, დედიკო, ჩვენი მასწავლებლისა ყველა კმაყოფილი ვართ კლასში.

— მაშ, ამდენი შეცდომა რატომ დაგიშვია?

— იმიტომ, რომ მამიკო ამბობს: კაცი შეცდომებზე სწავლობსო!..

●

ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

მასწავლებელი: — პეპიჩკ, მიპასუხე კითხვაზე: გალიაში არის სამი მგელი და ამდენივე ცხვარი, სულ რამდენი ცხოველი ყოფილა გალიაში?

პეპიჩკი: — სამი გამძღარი მგელი პატივცემულო მასწავლებელო!

ჩეხურიდან თარგმნა
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ

პავლე კორჩაგინი.

მთვარისა მუსხელიძე, 13 წლის. ანდერსენის ზღაპრის ილუსტრაცია.

6 92/94

პროფსაბჭოს კულტურის სასახლის ხატვა-ფერწერის წრის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენიდან.
მასწავლებელი თინა სოსელი

▲ გიორგი სააკაძე გრძოლის ველზე

◄ ძველი მოსკოვი, ლევან ბუაძე, 10 წლის.

ძველი თბილისი.
▼ არჩვაძე ნინო, 11 წლის



ორგელიძისა და აფრანიკის ორთაბრძოლა.
► ჯოგლიძე სულიკო, 12 წლის.



ფასი 20 კაპ.
ინდექსი 7615